საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რომელიც ბეჭდვეული სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტოის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

შაბათი-კვირა, 23-24 ნოემბერი. 2019 წ. №232 (8898) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

რას ასამარებს საქართველოს შიდა კრიზისი?!

5

ხელისუფალნო! დროზე „გაიტანეთ“ ეს მოღალატე ნაცები და ევრონაცები

მეორადი „კმარელების“ უნიჭო პერფორმანსები

ჩვენ მთელი დღე ვუყურებთ ვეტერანი, გაცვეთილი, მეორადი „კმარელების“ უნიჭო პერფორმანსებს, – ასე გამოეხმაურა ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე მამუკა მდინარაძე მაჟორიტარების ბიუროებთან განვითარებულ პროცესებს.

მდინარაძის თქმით, აქციის ორგანიზატორებს იმედი აქვთ, რომ ქვეყანაში არეულობას გამოიწვევენ, თუმცა ეს არ გამოუვათ.

მდინარაძე ამბობს, რომ „მსგავსი პოლიტიკური მარაზმი და მარგინალიზაცია, რაც „ნაციონალური მოძრაობის“ სხვადასხვა შტოს წარმომადგენლებს დაემართათ, ალბათ, ყველაზე ცუდ სიზმარშიც კი თავადაც ვერ წარმოედგინათ“.

„როგორც ჩანს, ეს ადამიანები 2003 წლის შემდეგ ვეღარ განვითარდნენ. მაშინდელი მეთოდოლოგიით რაღაც სპექტაკლებს აწყობენ, რომელსაც შემდეგ გაგრძელება არ აქვს. ნახეთ, ზოგი ოფისიდან კუდამოძუებულები გაუშვეს, ზოგან ღობეს მიახტნენ და ბოქლომები ჩამოკიდეს. რეგიონული ოფისის წარმომადგენლებმა ზოგან დარეკეს და გთხოვთ, სამსახურებიდან არ გაგვყაროთო, ჩვენს მომხრეებს, მაჟორიტარებს და ხალხს სთხოვენ, იქნებ, დაგვაკიდებინოთ ბოქლომებიო..

მისივე აზრით, გაცვეთილ „კმარელებს“ თავისი სათქმელი ხალხმა უკვე უთხრა.

„როდესაც ეუბნებიან მოქალაქეები, რომ რა პროპორციული, ხალხის მწამებლებთან გვაქვს საქმე და ხალხის მწამებლები აპროტესტებთ პროპორციულზე გადასვლას, ეს არის რეალობა, რაც საზოგადოებაში აზრის სახით მუსირებს... აქედან გამომდინარე, კიდევ ერთხელ გავიმეორებ, ამ მარგინალი „კმარელების“ განუვითარებლობამ მოგვცა ეს ცუდი სპექტაკლები. არ გამოვრიცხავ, რომ საპროტესტო აქციაზე,შეიძლება, არის არაერთი გულწრფელი მოქალაქე, ვისაც მართლა სჯერა თავისი აზრის, რომ ხელისუფლება არ მოიქცა კარგად. პატივს ვცემთ, ვუფრთხილდებით მათ უფლებებს, მათ ჯანმრთელობას. ნახეთ, როგორ დაიშალა აქცია, როგორ იმოქმედა პოლიციამ და დღეს, რაც ყველაზე მთავარი იყო, პოლიციას მოუწია ხალხისგან „ნაციონალური მოძრაობის“, ბოკერიას ფრთის დაცვა“, – განაცხადა მამუკა მდინარაძემ.

გილოცავთ გიორგობას!

ტყვეთა განმათავისუფლებელო და გლახაკთა ხელის აღმპყრობელო, სნეულთა მკურნალო და მეფეთა უძლეველო წინამბრძოლო, ღვაწლით შემოსილო დიდო მოწამეო გიორგი, ევედრე ქრისტესა ღმერთსა შენწყალებად სულთა ჩუენთათვის.



ეკვი ლიგი

6

არქიტექტურული ჰიმნი თბილისს

თეა წულუკიანი:

მატროსოვის ციხეს არ დააღონ ბოქლომი და დანარჩენს ავიტანთ

საქართველოს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი ოპოზიციის წარმომადგენლებისა და მათი მხარდამჭერების მიერ უწყებების ჭიშკრებზე ბოქლომების დადების პროცესს არასერიოზულს უწოდებს. **„ეს არის ჩვეულებრივი არასერიოზული პროცესი. როგორც ირკვევა, მათ მეტი არაფერი დარჩენიათ, გარდა ამგვარი სახალისო საპროტესტო აქციებისა. ერთს ვისურვებდი, რომ მატროსოვის ციხე არ დააბოქლომონ და დანარჩენს ავიტანთ“,** – აღნიშნა თეა წულუკიანმა.

ამერიკასა და საქართველოს შორის უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის ხელშეკრულება გაფორმდა

პენტაგონში აშშ – საქართველოს შორის უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის ჩარჩო-ხელშეკრულება გაფორმდა. თავდაცვის მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, საქართველოსა და აშშ-ს შორის პარტნიორობა არასდროს ყოფილა ასეთი ძლიერი და ხელმოწერილი დოკუმენტი ძლიერი ალიანსისთვის მდგრად საფუძველს ქმნის. ჩარჩო-ხელშეკრულება სრულად შეესაბამება თავდაცვის ძალებში მიმდინარე რეფორმებს, რომელიც მიზნად ისახავს მზადყოფნისა და მდგრადი შესაძლებლობების განვითარებასა და თავდაცვის ძალების მოდერნიზაციას.

ჩარჩო-ხელშეკრულების გაფორმებამდე საქართველოს თავდაცვის მინისტრს პენტაგონში აშშ-ის თავდაცვის მდივნის მოადგილემ დევიდ ნორქვისტმა უმასპინძლა. ირაკლი ღარიბაშვილს აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტში ოფიციალური საზეიმო ცერემონიალით დახვდნენ. ორი ქვეყნის სახელმწიფო ჰიმნების შესრულების შემდეგ ამერიკელი სამხედრო მოსამსახურეების საპატიო ყარაულის მარში ზალპით დასრულდა.

ორმხრივ შეხვედრაზე აშშ-საქართველოს შორის თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის გაძლიერების გზები განიხილეს. აშშ-ის თავდაცვის მდივნის მოადგილის განცხადებით, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის სტრატეგიული პარტნიორობა, რომელიც საერთო ღირებულებების დაცვისა და გავრცელების ერთობლივ ძალისხმევას ემყარება, არასოდეს ყოფილა ასეთი ძლიერი. მან მხარდაჭერა გამოხატა საქართველოს თავდაცვის ძალებში მიმდინარე წარმატებული რეფორმების მიმართ. განსაკუთრებით აღინიშნა საქართველოს კონტრიბუცია ავღანეთში მიმდინარე ნატოს „მტკიცე მხარდაჭერის“ მისიაში.

ქვეყანაში დესტაბილიზაციის შესაძლებლობას არავის მივცემთ!

„ბლოკირება ვერ მოხდება, ეს ცდება მშვიდობიანი მანიფესტაციის ფარგლებს და სახელმწიფოს ამაზე მომავალშიც ექნება რეაქცია“, – ამის შესახებ პარლამენტის თავმჯდომარემ ოპოზიციის მიერ მოწყობილი აქციების შეფასებისას განაცხადა.

„მიუხედავად იმისა, რომ პროპორციული არჩევნების თარიღის გადმოწევის ინიციატივამ, სამწუხაროდ, საკმარისი ხმები ვერ შეაგროვა პარლამენტში, გადაწყვეტილება, რომელიც ჩვენ მივიღეთ, 2024 წელს რჩება და არის ჩაწერილი კონსტიტუციაში, ქვეყანა გააგრძელებს განვითარებას, იქნება სიმშვიდე, არავის მივცემთ იმის შესაძლებლობას, რომ რაიმე სახით ქვეყანაში დესტაბილიზაცია იყოს. პარლამენტი საქმიანობას აგრძელებს.

დღის წესრიგში ძალიან მნიშვნელოვანი საკითხებია, ეს არის მიწის რეგისტრაციასთან დაკავშირებული ინიციატივა, რომელიც ათიათასობით ჩვენს თანამოქალაქეს გაუადვილებს საკუთრების დარეგისტრირებას, ეს არის სასამართლო რეფორმის მე-4 ტალღა, რომელიც ორი კვირის განმავლობაში განიხილება, ეს არის საქართველოს 2020 წლის ბიუჯეტი, სადაც გათვალისწინებულია ექიმებისთვის, მასწავლებლებისთვის, ჯარისკაცებისთვის, პოლიციელებისთვისა და მათთან გათანაბრებული პირებისთვის ხელფასების ზრდა. გათვალისწინებული არის პენსიების ზრდა, მათ შორის, შშმ პირებისთვის. მნიშვნელოვანი რესურსი გათვალისწინებულია დევნილებისთვის საცხოვრისების ასაშენებლად, ისევე, როგორც მსხვილი რეგიონული პროექტებისთვის, რომელიც პირდაპირ უკავშირდება ახალ სამუშაო ადგილებს“, – განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ.

ბექა სივსივაძე: ასე დაგვხვრიტეს მე და გიორგი მამაცაშვილი 2011 წლის 26 მაისს!?

ჟურნალისტი ბექა სივსივაძე 2011 წლის მოვლენებს იხსენებს და სოციალურ ქსელში სტატუსს აქვეყნებს:

„ასე დაგხვრიტეს მე და გიორგი მამაცაშვილი 2011 წლის 26 მაისს! ეს ჩაიდინა სააკაშვილმა და მისმა ნაცხროვამ! „რაღა დროს ცხრა წელია“ კი არა, ამ სექტის მიზანი რევანში და ხელისუფლების ხელში ჩაგდებაა!

დიახ, ძალაუფლების დაბრუნებას მიყოლებული რევანში – სისხლით, დაჭერებით, ქონების ჩამორთმევით, ციხეში ჩაგდებით, პატიმრების წამებით, კაცების გაუპატიურებით და ა.შ.

„ორი გვამით“ და „სულის ამოხდით“! „ნულოვანი ტოლერანტობით“ და „ყველანი ციხეში“-თ!

ამ დოქსოპულო ზონდერებს, ერთ ოჯახად ჩამოყალიბებულ დანაშაულებრივ ბანდას სისხლი, კრიმინალი და ცოცხები აერთიანებთ! დიახ, მათი სიმბოლო ცოცხი და ქართველთა სისხლით მორწყული რუსთაველის გამზირია! დღეს ეს ზონდერები, ისევ ერთ ოჯახად გაერთიანებულები, კვლავაც ემზადებიან ახალი 7 ნოემბრისა და 26 მაისის მოსაწყობად!

სააკაშვილი და ბოკერია, ბარამიძე და თარგამაძე, მერაბიშვილი და ახალაია არასოდეს შეიცვლებიან!“ – წერს სივსივაძე.

არჩილ თალაკვაძე: ნატოს მიმართ ენთუზიაზმი გაზრდილია, ვალდებულებები უპირობოდ სრულდება

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის არჩილ თალაკვაძის თქმით, საქართველო ნატოსთან ყველა სტანდარტით თავსებადია.

„საქართველო სტრატეგიულ მზადყოფნაში იმყოფება. მისი გაწევრიანების შესახებ გადაწყვეტილება მისაღებია პოლიტიკური და სტრატეგიული პარტნიორების მხრიდან. ერთად ვქმნით მომენტს, როცა ეს გადაწყვეტილება იქნება შესაძლებელი. ოღონდ, ნებისმიერ შემთხვევაში, ეს გადაწყვეტილება მისაღებია ნატოსა და ჩვენი სტრატეგიული პარტნიორების მხრიდან. ნატოს ოფიციალური შეფასების ანგარიშები არსებობს, სადაც საქართველოს პროგრესი სათანადოდ არის შეფასებული“.

გიგი უგულავა შესაძლოა, დააკავონ

„ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი გიგი უგულავა, შესაძლოა, კვლავ დააკავონ.

საუბარია „სითი პარკის“ დიდი ოდენობით შემოსავლების უკანონო ლეგალიზაციასა და ე.წ. მარნეულის ეპიზოდზე. ყველა საქმე ერთ ეპიზოდად ხუთი წელია, რაც განიხილება.

წერილობითი მტკიცებულებების ათობით ტომი უკვე შესწავლილია, დაკითხულია ასობით მოწმე.

„ველოდებით გამამტყუნებელ განაჩენს. წარმოდგენილია მტკიცებულებები, როგორც მოწმეთა ჩვენებების დონეზე, ასევე ფარული საგამოძიებო მოქმედებები, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები, შესაბამისი დოკუმენტაცია, რომელიც სრულად არის ერთმანეთთან თანხვედრაში და ერთმნიშვნელოვნად ადასტურებს გიორგი უგულავას ბრალეულობას ამ ეპიზოდებში“, – განაცხადა პროკურორმა მიხეილ სადრაძემ.

საფრანგეთის ეროვნული სამხედრო საპატრულო ხომალდი - ბათუმის ნავსადგურში

ბათუმის ნავსადგურში საფრანგეთის ეროვნული სამხედრო საპატრულო ხომალდი „კომანდან ბირო“ შემოვიდა. გემი ბათუმს თავდაცვის სფეროში ფრანგულ-ქართული თანამშრომლობის ფარგლებში ეწვია. ინფორმაციას ამის შესახებ აჭარის მთავრობა ავრცელებს.

„სასიხარულოა, რომ საქართველო-საფრანგეთის თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის ფარგლებში, რეგულარულად იმართება ფრანგული გემების საპორტო ვიზიტები ბათუმში. ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე მყოფი საქართველოსთვის უაღრესად მნიშვნელოვანია მსგავსი ვიზიტები. ჩვენ ვაფასებთ ამ გზით გამოხატულ მტკიცე მხარდაჭერას საქართველოს მიმართ.

ბოლო პერიოდში ხშირად ვმასპინძლობთ როგორც ნატოს გემებს, ასევე პარტნიორი ქვეყნების ეროვნული ფლოტის ხომალდებს. ეს მიუთითებს იმ ინტერესსა და მხარდაჭერაზე, რომელიც გვაქვს პარტნიორი ქვეყნებისგან, როგორც ზოგადად ჩვენი ქვეყნის რეფორმების, ასევე შავი ზღვის უსაფრთხოების კუთხით“, – განაცხადა მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძემ.

თუ გინდათ, ნუ დაიჯერებთ, თუ გინდათ, ჩამქოლეთ!..

თუ გინდათ, ნუ დაიჯერებთ, თუ გინდათ, ჩამქოლეთ, მაგრამ ეს ნამდვილად ასე იყო!

„გაერთიანებული ოპოზიციის“ საბრძოლო არსენალში ელიავადან მოთრაქული ჯაჭვ-ბოქლომების, საჩხერის სილის, ნავთლუღის ბაზრობიდან მოტანილი „ფეჩების“ და თიანეთის შეშის გარდა, ერთი, ბოლომდე გასაიდუმლოებული იარაღიც იყო — ოთხასი ხელბორკილი. ჩემს გონივრულ ეჭვს, რომ ეს „ნარუჩნიკები“ არქეოლოგებმა იპოვეს ნაჭარმაგევის ციხის დილეგში, ვერაფრით დავადასტურებ, მაგრამ ბაზრობაზეც რომ არ იყიდება, ამას თამამად ვიტყვი.

მოკლედ, „ორგანიზატორების“ გადაწყვეტილებით, იდეა ის გახლდათ, რომ ოთხასი კაცი ამ „ნარუჩნიკებით“ უნდა გადაბმულიყო და ასე უნდა დაერტყათ ალყა პარლამენტის შენობისთვის!

ჯერ სადა ხართ!

გაირკვა, რომ საამისო ოთხასი კაცი არ ჰყავდათ. რაოდენობით ნაკლები კი მისხალ-მისხალ გაზომილ მეტრაჟს ვერ ავსებდა.

მაშინვე „იდეის ავტორს“ მიმართეს, იმან თავის წილად — თავის „პატრონს“... კონტინგენტი სასწრაფო წესით შეივსო ოთხასამდე, მაგრამ იმ ბედნიერ ნირვანამდე, როცა მთელი მსოფლიო ნახავდა, როგორ ებრძვის ტირანიას „ქართული დემოკრატია“, არც ასე იოლი აღმოჩნდა მისვლა.

ყველაფერი ერთი „დასაბმელის“ მოკრძალებულმა, მერე რომ ხმამაღალ პროტესტად იქცა, იმ კითხვამ ჩაშალა: — დავდგებით, ბატონო, მარა აქ ზოგს ცისტიტი გვჭირს და ზოგს უარესი! უფრო მძიმეს არ ვიტყვი და მოფსმა რომ მოგვინდეს რომელიმეს, გასაღების პატრონი სად ვეძებო ამ სიგრძეზე და კიდეც რომ ვიპოვო, ან მომისწრებს და ან არა და რა ვქნა მერე, აქვე ჩავიფსა თუ ეს ოთხასი კაცი ვათრიო უბორნიამდეო?!



თავს ვერ დავდებ, ეს შემთხვევა, სათაურით — „ადამიანური მოთხოვნილება, როგორც აგრესიული პოლიტიკის დამმარცხებელი და პარლამენტზე ალყის მომხსნელი“, — შევა თუ არა ისტორიაში, როგორც ერთადერთი ქრესტომათიული მაგალითი, მაგრამ ფაქტია, ეს ერთადერთიც მაინცდამაინც აქ მოხდა!

რაღას იზამდნენ, დაუბრუნეს ოთხასი „ნარუჩნიკი“ პატრონს!

მერაბ ხაჩიძე

ოქრუაშვილის საქმის განხილვას ხელს აღარაფერი უშლის

თუ 24 ნოემბრამდე ირაკლი ოქრიაშვილს ბუტა რობაქიძის საქმეზე ბრალს ვერ წარვუდგენდით, მერე ვერასდროს წარვუდგენდით, — ამის შესახებ საქმის პროკურორმა ლაშა კოტრიკაძემ განაცხადა, რომლის თქმითაც, მიუხედავად იმისა, რომ ოქრუაშვილს ბრალის დადგენილებაზე ხელი არ მოუწერია, ბრალდება ოფიციალურად წარდგენილად ითვლება.



„გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს, ამ საქმეზე სასამართლო განხილვა ვერ გაგრძელდება, ეს სწორი არ არის. აქ საუბარია მხოლოდ და მხოლოდ სისხლის სამართლებრივი დევნის ხანდაზმულობაზე და არა საქმის განხილვის ხანდაზმულობაზე. შესაბამისად, დევნა დაწყებულია და სასამართლოს განხილვას ხელს არაფერი უშლის. ბრალი გავაცანით ჩვენ, ხელს მოაწერს თუ არა, ეს მისი უფლებაა“, — განაცხადა ლაშა კოტრიკაძემ.

საფრანგეთში მიმდინარე წლის **პირველ თვეში, საქართველო იყო პირველ ადგილზე თავშესაფრის მაძიებელთა რაოდენობით, ეს იყო ანომალია,** — ამის შესახებ საფრანგეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრმა კრისტოფ კასტანერმა განაცხადა საქართველოს შს მინისტრ ვახტანგ გომელაურთან შეხვედრის შემდეგ. გომელაური ფრანგ კოლეგას საფრანგეთში ვიზიტის ფარგლებში შეხვდა. შეხვედრის შემდეგ მათ ერთობლივი განცხადებები გააკეთეს, რომელიც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა.

„მიმდინარე წლის პირველ თვეში საფრანგეთში საქართველო იყო პირველ ადგილზე თავშესაფრის მაძიებელთა რაოდენობით. ეს იყო ანომალია, რადგან საქართველო საფრანგეთის მიერ აღიარებულია უსაფრთხო ქვეყნად და ვიცით, რომ საქართველო არის თანამედროვე და განვითარებადი ქვეყანა, რომელიც ხარისხიან სერვისს სთავაზობს ხელმისაწვდომ ფასად და ხანდახან, უფასოდ თავის მოქალაქეებს, დაახლოებით იგივე ვალდებულებებით, როგორც ეს საფრანგეთშია“, — განაცხადა კრისტოფ კასტანერმა.

მისი ინფორმაციით, მიმდინარე წლის პირველი თვეების განმავლობაში ძალიან დიდი რაოდენობით დაფიქსირდა ქართველ თავშესაფრის მაძიებელთა განაცხადები, რომლებიც ვიზალიბერალიზაციის ფარგლებში ჩავიდნენ საფრანგეთში, თუმცა 97 პროცენტი შემთხვევებზე თანხმობა არ გაიცა.

„ჩვენ ქართულ მხარესთან განვიხილეთ კონტროლის ცალკეული მექანიზმების შემოღების საკითხი, მათ შორის გაფრენის და ჩაფრენის აეროპორტებში. გამოვთქვით ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით თანამშრომლობის გაძლიერების სურვილი. მინდა, აღვნიშნო ის მიღწევები, რომლებიც გვაქვს და მადლობა გადავუხადო ჩემს ქართველ კოლეგას მაღალი ხარისხის თანამშრომლობისთვის.

საქართველოში ჩემი ვიზიტის შემდეგ, არსებული თანამშრომლობის ფარგლებში, ბოლო თვეების განმავლობაში ფიქსირდება თავშესაფრის მაძიებელთა მნიშვნელოვანი კლება, დაახლოებით 50 პროცენტით. ძალიან მნიშვნელოვანია, შევინარჩუნოთ ეს, რაც შეიძლება მაღალ დონეზე“, — განაცხადაკასტანერმა.

„მინდა, ვუთხრა ყველა იმ ქართველს, ვინც აპირებს საფრანგეთში ჩამოვიდეს თავშესაფრის მიღების მიზნით, რომ ჩვენი თანამშრომლობის ფარგლებში, ვიქნებით ძალიან მკაცრი და შევთავაზებთ თავშესაფარს მხოლოდ მათ, ვინც ამას ნამდვილად იმსახურებს“.

ყურად ვიღოთ საფრანგეთის შს მინისტრის მკაცრი გაფრთხილება!

კვიპროსში საქართველოს 17 მოქალაქე დააკავეს!

კვიპროსში საქართველოს 17 მოქალაქე დააკავეს, რომლებსაც ქვეყანაში არალეგალურად ყოფნას ედავებიან. გავრცელებული ინფორმაციით, ისინი ლიმასოლში, სამშენებლო კომპანიაში, სავარაუდოდ, ყალბი დოკუმენტების წარდგენის საფუძველზე იყვნენ დასაქმებული.

სასამართლომ მათ რვადღიანი პატიმრობა შეუფარდა. საიმიგრაციო სამსახურმა არალეგალურად მყოფი პირები სამშენებლო კომპანიის ობიექტზე აიყვანა.

კობა გვენეტაძე კრიტიკას პასუხობს

ეროვნული ბანკის პრეზიდენტი კობა გვენეტაძე თანამდებობიდან გადადგომას არ აპირებს. ამის შესახებ გვენეტაძემ ტელეკომპანია „იმედის“ საინფორმაციო გადაცემა „ქრონიკას “ მისი მისამართით გამოთქმული კრიტიკის პასუხად განუცხადა.

გვენეტაძის თქმით, ის თანამდებობიდან გამომდინარე არ აპირებს პოლიტიკური შინაარსის ბრალდებებს უპასუხოს და აცხადებს, რომ ლარის სტაბილურობას ერთდროულად რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს: მათ შორის საგარეო შოკები და მოლოდინები, პროცესებზე პასუხისმგებელი კი მხოლოდ ეროვნული ბანკი არ არის. რაც შეეხება ინფლაციას, რომელიც მიზნობრივ მაჩვენებელს გადასცდა, გვენეტაძე ამბობს, რომ ცენტრალური ბანკი ამ მიმართულებით მის ხელთ არსებულ ყველა ინსტრუმენტს იყენებს: **„მე უნდა ვიმუშაო, მე ვმუშაობ, ეროვნული ბანკი მუშაობს. რაც შეეხება დღევანდელ სიტუაციას, სხვადასხვა მოვლენების გამო, რომელიც ცნობილია, ინფლაციაზე იმოქმედა ნომინალური ეფექტური კურსის გაუფასურებამ და ინფლაცია არის მიზნობრივ მაჩვენებელზე მაღალი.სიტუაციის ანალიზის შედეგად მივიღეთ გადაწყვეტილებები. ყველა ბერკეტს გამოვიყენებთ, რაც ჩვენს ხელთ არის და ამავე დროს გვაქვს მჭიდრო და კარგი თანამშრომლობა საქართველოს მთავრობასთან“,** — აცხადებს გვენეტაძე.

მანამდე საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ ეროვნულ ბანკს მოუწოდა, ფასების სტაბილურობის უზრუნველსაყოფად მის ხელთ არსებული ყველა ინსტრუმენტი აქტიურად გამოიყენოს.

ეუთო ვაჟა გაფრინდაშვილს ექომაგება

ეუთოში საქართველოს მუდმივმა წარმომადგენელმა დავით დონდუამ ეუთოს ელჩებს მიაწოდა ინფორმაცია ა.წ. 9 ნოემბერს საქართველოს ორთოპედთა და ტრავმატოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტის ვაჟა გაფრინდაშვილის გატაცებისა და ე.წ. „საზღვრის გადაკვეთის“ ბრალდებით მისთვის თავისუფლების უკანონო აღკვეთის შესახებ.

მან აღნიშნა, რომ ექიმის დაკავების თაობაზე ინფორმირებულია საერთაშორისო თანამეგობრობა; ქართული მხარის თხოვნით ამოქმედდა ცხელი ხაზი, პროცესში ჩართულნი არიან ჟენევის მოლაპარაკებების თანათავმჯდომარეები და წითელი ჯვარი. ელჩმა ასევე ისაუბრა ცხინვალის საოკუპაციო რეჟიმის მიერ ე.წ. გადასასვლელი პუნქტების ჩაკეტვის გამო გართულებულ ჰუმანიტარულ მდგომარეობაზე.

გმადლობთ ერთგულებისთვის და ბიზნესრეიტინგის მხარდაჭერისთვის!

27 ნოემბერს, 20:30 საათზე, მედიაჰოლდინგი **„ჯორჯიან თაიმსი“** და **„გორბი“** ბიზნესრეიტინგის მე-20 საიუბილეო გრანდიუზულ, საზეიმო ცერემონიალს **„შერატონ გრანდ თბილისი მეტეხი პალასში“** გამართავენ.

ღონისძიებამ საერთაშორისო მასშტაბები შეიძინა და მუდმივად ექცევა როგორც ქართული, ასევე უცხოური მედიისა და ბიზნეს საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ. ღონისძიების მიმდინარეობისას ჟურნალისტებს ეძლევათ საშუალება, შეხვდნენ წამყვან ბიზნესლიდერებს, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს, სამთავრობო დელეგაციიდან მინისტრებსა და მათ მოადგილეებს.

ამ მასშტაბურ ღონისძიებას წლების მანძილზე აქტიურად აშუქებდა და წელსაც გააშუქებს 34-მდე მედიასაშუალება, რისთვისაც **„ჯორჯიან თაიმსი“** ერთგულებისთვის მათ მადლობას უხდის. ბიზნესმენებთან ერთად, წელსაც მუდმივი მხარდაჭერისთვის მედიის წარმომადგენლებიც დაჯილდოვდებიან.

წელს, მე-20 საიუბილეო ბიზნესრეიტინგის ღონისძიების მედიამხარდამჭერი ქართული მედიის ფაქტობრივად სრული სპექტრია:

1. საზოგადოებრივი მაუწყებელი; 2. იმედი; 3. რუსთავი 2; 4. ფორმულა; 5. ტვ პირველი; 6. პალიტრა ნიუსი; 7. ობიექტივი; 8. სტარვიზია; 9. მუზიკბოქსი; 10. რადიო ჰოლდინგი ფორტუნა; 11. თბილისელები; 12. ჯორჯიან თაიმსი; 13. კავკასიან ბიზნეს ვიკი; 14. რეზონანსი; 15. პრაიმთაიმი; 16. ბანკები და ფინანსები; 17. სვობოდნაია გრუზია; 18. ვერსია; 19. ქართული აზრი; 20. საქართველოს რესპუბლიკა; 21. BM.ge; 22. Geotimes.ge; 23. Award.com.ge; 24. Kvira.ge; 25. Georgianpress.ge; 26. For.ge; 27. Liderinfo.ge; 28. NewsDay.ge; 29. Reportiori.ge; 30. Faxinternews.ge; 31. Metronome.ge; 32. Timer.ge; 33. Fact2.ge; 34. Firstnews.ge;

ტრადიციულად, წელსაც ბიზნესრეიტინგის ღონისძიებაზე საუკეთესო მედიასაშუალებას ბიზნესმენები დაასახელებენ.

ტურისტებს უკვირთ, რომ სვანეთის ულამაზესი ლანდშაფტი ასეთი მოუვლელია!

„სვანეთში საბაგიროები ძალიან ხშირად ითიშება, შეიძლება აიყვანო ტურისტი და სულ ტყუილად. სამთო-სათხილამურო კურორტზე ასე არ უნდა ხდებოდეს.“

მესტიაში მდებარე სასტუმრო „ბანგურიანის“ მენეჯერი **ლაშა ჯაფარიძე** „კომერსანტთან“ იმ ძირითად პრობლემებზე საუბრობს, რასთან გამკლავებაც სეზონის მანძილზე სვანეთის მაღალმთიან რეგიონს უწევს.

სვანეთში, კერძოდ სამთო-სათხილამურო კურორტ თეთნულდზე 5 საბაგირო ფუნქციონირებს – ოთხი სკამიანი საბაგირო და 1 ბიგელი. კურორტ ჰაწვალზე ორი 2-სკამიანი საბაგირო მუშაობს. სვანეთში სასრიალო სეზონი 22 დეკემბერს იხსნება და მაისამდე გრძელდება. ამ პერიოდისთვის რეგიონის მსხვილი თუ საოჯახო სასტუმროები აქტიურად ემზადებიან უცხოელი ტურისტების მისაღებად, რომელთა მხრიდან დაინტერესებაც ახალ წელს ისე იზრდება, როგორც არც ერთ სხვა სეზონზე. „კომერსანტი“ მესტიის რამდენიმე სასტუმროს წარმომადგენელს სეზონის მოლოდინებსა და პრობლემებზე ესაუბრა. მათი უმეტესობა მიიჩნევს, რომ ინფრასტრუქტურული შეფერხებები მთავარ გამოწვევად რჩება რეგიონისთვის, რამაც შეიძლება ტურისტს დისკომფორტი შეუქმნას.

„ზამთრის პრობლემები ჩვენთან ძირითადად, გზის გაწმენდას უკავშირდება, თავის დროზე არ იწმინდება გზები თოვლისგან არც ცენტრში და არც სოფლამდე მისასვლელი. ტურისტულ კომპანიებს ეშინიათ ტურისტების ამოყვანა იმიტომ, რომ არ აქვთ იმის გარანტია, შეუფერხებლად ამოიყვანენ თუ არა მესტიაში სტუმრებს. ამას ემატება ისიც, რომ ფრენები ძალიან ხშირად იდება ამინდის გამო. ვფიქრობთ, დასამატებელია თვითმფრინავებიც და დღეში ორი რეისი მესტიისთვის საკმაოდ ცოტაა. ასევე, ცნობილი ამბავია, მესტიაში გაზი არ გვაქვს და ეს გვიძვირებს სასტუმროების გათბობის ხარჯებს.

რაც შეეხება გასართობ საშუალებებს, აქ მსხვილი ბრენდებიც იმიტომ არ შემოდიან, რომ ინფრასტრუქტურული პრობლემები აქვს მხარეს და გარისკვას ერიდებიან.“ – ამბობს სასტუმრო „ბანგურიანის“ მენეჯერი.

სვანეთის მიმართ დაინტერესება აისახება ჯავშნების რაოდენობაზე, შესაბამისად სასტუმროები პოზიტიურად არიან განწყობილი 2019-2020 წლის ზამთრის საკურორტო სეზონის დაწყებამდე.

„საკმაოდ კარგ სეზონს ველოდებით, თუმცა ეს დამოკიდებულია საბაგიროების მუშაობასა და თოვლზე. შარშან რამდენიმე პრობლემა იყო, რომელიც დიდ გავლენას ახდენს კომფორტზე, რამდენიმე საათით ითიშებოდა საბაგიროები, კერძოდ ჰაწვალზე. წესით წელს ეს პრობლემა უნდა მოგვარებულიყო. ახლა ჯავშნების 80 პროცენტი უკვე მიღებული გვაქვს დეკემბერ-იანვრისთვის და იმედია სეზონი შეფერხებების გარეშე ჩაივლის“ – ამბობს მესტიის სასტუმრო „ჩუბუს“ მენეჯერი **ანა მერლანი.**

მესტიის ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ უბან ვაჩვალში ნაგვისა და ძაღლების პრობლემის მოგვარებას ითხოვს სასტუმრო Oldview-ს მეპატრონე **ანა მარგიანი.** მისი თქმით, სტუმრები შეწუხებული არიან, რომ მესტიის ცენტრის ასეთი სურათი სვანეთის ულამაზეს ბუნებას ფასს უკარგავს.

„ყოველ წელს სვანეთში ოქტომბერ-ნოემბრის თვე პრაქტიკულად ჩავარდნილია, საახალწლოდ კი უფრო რუსებს აქვთ დაჯავშნილი ჩვენი ნომრები. რაც გვინდა გამოსწორდეს, ეს პირველ რიგში, საბაგიროებს უკავშირდება, სტუმარი მაღალმთიან რეგიონს სტუმრობს, რათა ხედების გარდა გასართობი საშუალებებითაც ისიამოვნოს, ერთადერთი რაც აქ არის, საბაგიროა და ეგეც შეფერხებებით მუშაობს. აგვისტოდან ჩაკეტილია ჰაწვალის საბაგირო, სტუმრებს სურულდის ნახვა უნდოდათ და ვერ მოახერხეს. ძირითადი უკმაყოფილება სტუმრების მხრიდან ნაგავსა და მოუწესრიგებელ ქუჩებს ეხება. ჩვენი უბანი, ვანჩვალი ყველაზე პრესტიჟულია სვანეთში და აქ ყველგან ნაგავი ყრია, მესტიის ცენტრში თავმოყრილია უამრავი უპატრონო ძაღლი. სტუმრებს უკვირთ, რომ სვანეთის ულამაზესი ბუნება ასეთი მოუვლელია.“ – ამბობს სასტუმრო Oldview-ს მეპატრონე ანა მარგიანი.

მარიამ მორგოშია

გაზრდილი ჯარიმები და ნნეხში მოქცეული მძღოლები

საგზაო მოძრაობის წესებზე ჯარიმები ძალიან მკაცრდება, განსაკუთრებით სიმთვრალესა და სიჩქარის გადაჭარბებაზე. ცვლილებები შედის ბევრ პუნქტში და ყველგან სანქციების გაზრდაა გათვალისწინებული. ყველა დაგეგმილი ცვლილება მძღოლებისთვის განსაკუთრებით საყურადღებოა.

სიმთვრალისას მძღოლისთვის გამოწერილი ჯარიმის ოდენობა სისხლში ეთანოლის ოდენობის მიხედვით განისაზღვრება. მაგალითად, თუ ავტომობილის ნასვამ მდგომარეობაში მართვისას მძღოლის სისხლში ეთანოლის ოდენობა 0,3-დან 0,7 პრომილემდე დადგინდა, სანქცია 500 ლარი და მართვის უფლების 1 წლით ჩამორთმევა იქნება, ხოლო თუ ეთანოლის შემცველობა 0,7 პრომილეს გადასცდა, მძღოლი 1.000 ლარით დაჯარიმდება. შემოწმებისთვის თავის არიდებაც 1.000-ლარიანი ჯარიმითა და მართვის უფლების 1 წლით ჩამორთმევით დაისჯება.

კიდევ უფრო მკაცრი იქნება კანონი სატრანსპორტო საშუალების მეორედ ან მესამედ ნასვამ მდგომარეობაში მართვის გამო, რისთვისაც უკვე შემოდის ადმინისტრაციული პატიმრობა სხვადასხვა ვადით. მაგალითად, სახდელის მოხდამდე სიმთვრალეში ავტომანქანის მართვის განმეორება გამოიწვევს მართვის უფლების ჩამორთმევის გაზრდას კიდევ 1 წლით და 3-დან 15 დღემდე ადმინისტრაციულ პატიმრობას, ხოლო, თუ სახდელის მოხდამდე მძღოლი საჭეს მთვრალი მესამედ მიუჯდება, მას მართვის უფლება კიდევ ორი წლით ჩამოერთმევა, ადმინისტრაციული პატიმრობა კი 7-დან 15 დღემდე მოელის.

იზრდება ჯარიმა ნასვამ და მართვის უფლების არმქონე პირის მიერ ავტომანქანის განმეორებითი მართვისთვის და მისი ოდენობა 2500 ლარით განისაზღვრება. კანონი ითვალისწინებს ადმინისტრაციულ პატიმრობასაც. იმ შემთხვევაში, თუ ნასვამი პირის მიერ მეორედ ან მესამედ სატრანსპორტო საშუალების მართვას ავარია მოჰყვება, მძღოლი 3500 ლარით დაჯარიმდება, მართვის უფლების ჩამორთმევა კი გაეზრდება 3 წლის ვადით და 10-დან 15 დღემდე ადმინისტრაციული პატიმრობა შეეფარდება. სანქციები მკაცრდება სიჩქარის გადაჭარბებისთვის. თუ დღეს გადაჭარბებად ითვლება დადგენილზე 15 კმ/სთ-ზე მეტი სიჩქარით მოძრაობა, ახალი კანონით ეს ზღვარი 10 კმ/სთ-მდე მცირდება. გარდა ამისა, სიჩქარის 40 კმ/სთ-მდე გადაჭარბება 50 ლარის ნაცვლად, 150 ლარით დაჯარიმდება, სიჩქარის 40 კმ/სთ-ზე მეტით გადაჭარბება კი - 250 ლარით, 150 ლარის ნაცვლად. თუ იურიდიულ პირს სიჩქარის გადაჭარბება ვიდეო ან ფოტოფირზე დაუფიქსირდება, მას ჯარიმები გაორმაგებული მოცულობით დაეკისრება.

მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ფოტო ან ვიდეოფირზე დაფიქსირებული სიჩქარის გადაჭარბებისთვის ქულის დაკლებას, ახალი პროექტით კი ეს სანქციაც შემოვა. მაგალითად, 40 კმ/სთ-მდე სიჩქარის გადაჭარბებისთვის მძღოლს, 150 ლარით დაჯარიმების გარდა, მართვის მოწმობაზე 10 ქულა ჩამოაკლდება, ხოლო 40 კმ/სთ-ზე მეტით გადაჭარბებისთვის - 20 ქულა, 250-ლარიან ჯარიმასთან ერთად. კანონპროექტში გათვალისწინებულია ავტომობილის მესაკუთრის უფლებაც. კერძოდ, თუ სამართალდარღვევა ფოტოფირზე ან ვიდეოფირზე დაფიქსირდა, უფლებამოსილ პირს შეუძლია წერილობითი ახსნა-განმარტებით დაადასტუროს სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი, თავად გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისგან და ის უშუალოდ სამართალდამრღვევს დაეკისროს.

მკაცრდება ავტომობილის დგომა-გაჩერების წესების დარღვევა. ახალ სამართალდარღვევად განისაზღვრა ქვეითთა გადასასვლელზე დგომა-გაჩერების წესების დარღვევა და პასუხისმგებლობის ზომად 100-ლარიანი ჯარიმა დადგინდა.

ორმაგდება ჯარიმა ქვეითის მიერ მოძრაობის წესების დარღვევისთვის და 10-ის ნაცვლად 20 ლარი გახდება, ხოლო 1 წლის განმავლობაში განმეორების შემთხვევაში ჯარიმა უკვე 40 ლარი იქნება. თუ ქვეითის ქმედებებს მოჰყვა საავარიო ვითარება ან მოძრაობის შეფერხება, დღეს არსებული 50 ლარის ნაცვლად, გათვალისწინებულია ჯარიმა 150 ლარის ოდენობით. ცალკე სამართალდარღვევად განისაზღვრება საგზაო-სატრანსპორტო (ავარია) შემთხვევის ადგილის მიტოვება. დამრღვევს დაეკისრება 1.000-ლარიანი ჯარიმა და მართვის უფლება ერთი წლით შეუჩერდება. თუ მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს შუქნიშნის ამკრძალავ ფერზე, პრიორიტეტული ან ამკრძალავი ნიშნის მოთხოვნის დაუცველობისთვის, გასწრების წესების დარღვევის განმეორებით ჩადენისთვის პასუხისმგებლობის გაზრდას, ახალი კანონმდებლობით, შესაბამის დარღვევად განისაზღვრა ამ სამართალდარღვევის 1 წლის განმავლობაში განმეორებით ჩადენა და პირი დაჯარიმდება 100 ლარით. მანქანის მართვისას მობილური კომუნიკაციით სარგებლობისთვის დღეს მოქმედი 30-ლარიანი ჯარიმა 60 ლარი გახდება.

„ბიზნეპრესნიუსის“ ცნობით, სპორტული მანევრი სამართალდარღვევის ახალი სახეობაა, რომელიც პროექტით შემოდის. მაგალითად, თუ მძღოლმა წინასწარი შეცნობით განახორციელა მკვეთრი მანევრი, რასაც სატრანსპორტო საშუალების მოცურება მოჰყვა, ის 500 ლარით დაჯარიმდება, ხოლო თუ მკვეთრ მანევრს სატრანსპორტო საშუალების, ტვირთის, გზის, საგზაო თუ სხვა ნაგებობის, სხვა ქონების ან ადამიანის სხეულის მსუბუქი დაზიანება მოჰყვება, მძღოლს 750-ლარიანი ჯარიმა დაეკისრება.

ზუსტდება და მკაცრდება სახდელები მართვის უფლების აკრძალვასთან დაკავშირებით. მაგალითად, თუ პირი შეჩერებული მართვის უფლებით მიუჯდება საჭეს, 500 ლარით დაჯარიმდება, ჩამორთმეული მართვის უფლების მქონე – 700 ლარით, ხოლო მართვის უფლების არმქონე – 1.200 ლარით. კანონპროექტში, რომელიც ჩვენ მოვიპოვეთ, ასევე ნათქვამია, რომ პარლამენტში მიმდინარეობს მოპედების საკითხის საკომიტეტო განხილვა. ამ ეტაპისთვის შენიშვნები გადაგზავნილია შს სამინისტროში და კანონპროექტი რედაქტირებას გადის.

გარდა ამისა, შს სამინისტროს გეგმის მიხედვით, წლის ბოლოსთვის საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ამოქმედებული იქნება 5 000-მდე ვიდეოკამერა. როგორც ჟურნალისტებს შს მინისტრის მოადგილემ **ნინო ჯავახაძემ** განუცხადა, 9 თვის მონაცემებით, სამწუხაროდ, ავტოსაგზაო შემთხვევის დროს გარდაცვლილია 337 ადამიანი, რაც წინა წლის 9 თვის მაჩვენებელზე 1.5%-ით ნაკლებია.

„თუმცა, ეს არ გვაძლევს სიმშვიდის უფლებას და ვცდილობთ, ჩვენი ყველა ღონისძიება მიმართული იყოს ამ ციფრის კლებისკენ. მხოლოდ საკანონმდებლო ცვლილებები, საავტომობილო გზებზე ფარული კამერების რაოდენობის ზრდა და, ზოგადად, სამინისტროს მხრიდან რეგულაციების გამკაცრება ვერ მიგვიყვანს რეალურ შედეგამდე, თუ არ მოხდება საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება“, – განაცხადა ჯავახაძემ.

ბექა დანელია

რას ასამარებს საქართველოს შიდა კრიზისი?!

ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ ცდილობს, არ შეიმჩნიოს, თუმცა ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისი გრძელდება: პროცესებმა პარლამენტიდან ქუჩაში გადაინაცვლა, მოთხოვნების დაკმაყოფილებამდე ოპოზიცია საკანონმდებლო ორგანოში დაბრუნებას არ აპირებს, ხელისუფლება კი უკან არ იხევს. ამ ფონზე მმართველი გუნდის წევრებმა, რომლებმაც ივანიშვილის მიერ პირობის გატეხვის შემდეგ მმართველი გუნდი დატოვეს, პროცესების კიდევ უფრო გამწვავებას პროგნოზირებენ... ამ მოვლენებამდე ქართველ ანალიტიკოსთა ნაწილი ვარაუდობდა, რომ სირიაში მიმდინარე პროცესების ფონზე რეგიონზე დასავლეთის ყურადღების კონცენტრირების გათვალისწინებით, ეს შესაძლოა, საქართველოსთვის ევროინტეგრაციის მხრივ გარკვეული „ფანჯარა“ გამხდარიყო. როგორ იმოქმედა ამ კუთხით ქვეყნის შანსებზე პოლიტიკურმა კრიზისმა და ზოგადად როგორ აისახება ქვეყნის იმიჯზე, დემოკრატიულ განვითარებაზე „ქართული ოცნების“ გადაწყვეტილება? — ამ საკითხებზე „აქცენტი“ საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხთა სპეციალისტ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲒᲝᲑᲠᲝᲜᲘᲫᲔᲡ ესაუბრა.

„მივილებთ იმას, რომ რუსეთი დამშვიდდება“...

— რაც დღეს ხდება საქართველოში, კიდევ უფრო ამყარებს განცდას, რომ ქვეყანა შორს არის დემოკრატიის კონსოლიდაციისგან. საგარეო პოლიტიკური როლის სრულფასოვანი რეალიზებისთვის კი დემოკრატიზაციის შეუქცევადი პროცესია აუცილებელი, რომელიც პასუხისმგებლობის მქონე პოლიტიკური ელიტის გარეშე არ არსებობს. როდესაც მმართველი პოლიტიკური ელიტა საზოგადოებას კონკრეტული რეფორმების დაპირებას აძლევს და დაპირება არ სრულდება, ეს ორ რამეს ნიშნავს: ან ვერ გრძნობენ საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულებას, ან არ შეუძლიათ საკუთარი პოზიციების დათმობა. ორივე მნიშვნელოვან დარტყმას წარმოადგენს ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისთვის, — ამბობს გიორგი გობრონიძე.

მისივე შეფასებით, პოლიტიკოსის მიერ გაცემული დაპირება უნდა შესრულდეს და ეს მნიშვნელოვანია იმისთვისაც, რომ ქვეყანა ჩვენს პარტნიორებში კვლავინდებურად აღიქმებოდეს წამყვან დემოკრატიად კავკასიის რეგიონსა და მთლიანად პოსტსაბჭოთა სივრცეში, მით უფრო, რომ საქართველოს დასავლური საგარეო პოლიტიკური წარმატებისა და უსაფრთხოების მთავარი გზა სწორედ დემოკრატიულ განვითარებაზე გადის:

„ჩვენ ან ვიქნებით კონსოლიდირებული დემოკრატია და გვექნება ევროპულ ფასეულობებზე აგებული სისტემა, ან ვიქნებით პოსტსაბჭოთა ჭაობი და დავემსგავსებით რეჟიმებს, რომლებიც დღეს ჩვენი მხრიდან დასაცინად აღიქმებიან. შედეგად მივიღებთ იმას, რომ რუსეთის ფედერაცია დამშვიდდება: რატომ ეშინია რუსეთს დასავლური ინსტიტუტების პოსტსაბჭოთა რეგიონში შემოღწევის? — ვინმეს მართლა სჯერა, რომ ნატოს წევრი რომელიმე ქვეყანა გეგმავდეს რუსეთის წინააღმდეგ აგრესიის განხორციელებას?! 9 თავი არავის აქვს, რომ ებრძოლოს მსოფლიოს ერთ-ერთ წამყვან ბირთვულ სახელმწიფოს, რომელსაც პირდაპირ აქვს გაცხადებული, რომ მისი შეიარაღებული ძალების უპირატესობის დაკარგვის შემთხვევაში გამოიყენებს მასობრივი განადგურების იარაღს... რეალურად, რუსული პოლიტიკური ელიტა, რომელიც საბჭოთა კავშირის კოლაფსის შემდეგ ქვეყანას მართავს, არ არის ორიენტირებული ქვეყნის მოდერნიზებაზე, არც დემოკრატიზაციაზე, არც სოციალური განრანტიების შექმნაზე; მისთვის მთავარი ამოსავალი წერტილი ძალაუფლების და ეკონომიკურ სიკეთეებზე წვდომის მაქსიმალურად ხანგრძლივი დროით შენარჩუნებაა. აქედან გამომდინარე, მისთვის საფრთხეა პოსტსაბჭოთა რეგიონში ნებისმიერი დემოკრატიული ტრანსფორმაცია და შედეგად მიღწეული ეკონომიკური ზრდა, რაც რუსეთის მოსახლეობას შესაბამის კითხვებს გაუჩენს და გრძელვადიან პერსპექტივაში, რა თქმა უნდა, რუსული მმართველი პოლიტიკური კლასის ლეგიტიმაციის საკითხს დააყენებს დღის წესრიგში. საქართველო, როგორც რეგიონში დემოკრატიზაციის მაგალითი, საფრთხეა არა რუსული სახელმწიფოს, არამედ რუსული პოლიტიკური კლასისთვის, ამდენად, თავად რუსული პოლიტიკური კლასია შეუთავსებელი საქართველოს წარმატებასთან. სწორედ ამიტომ არის პრობლემა, როდესაც საქართველო აფერხებს დემოკრატიულ განვითარებას. ჩვენ ვრჩებით და ვართ განწირულნი, ვიყოთ იმავე ორბიტაზე, რომელზეც ვიყავით 1994-1999 წლებში. ამიტომაა მნიშვნელოვანი, საქართველოს პოლიტიკურ ელიტას ჰქონდეს იმაზე მეტი პასუხისმგებლობა, ვიდრე რუსულს და რაღაც ეტაპზე საკუთარი ინტერესი ქვეყნის წარმატების გარანტირებისთვის გადადოს. დღეს კი ამას ვერ ვხედავთ. არსებული მოცემულობის შენარჩუნების შემთხვევაში ორი ფუნდამენტური პოლუსი ძლიერდება საქართველოში, რაც პოლარიზაციის ხარისხს გაზრდის და ხელს შეუწყობს უფრო მძლავრი პოლიტიკური კრიზისების განვითარებას“.

გობრონიძის შეფასებით, ქვეყნის შიგნით კრიზისები პარტნიორების დამოკიდებულებაზეც აისახება:

„წარმოიდგინეთ თქვენი თავი დასავლური თანამეგობრობის ადგილზე: თანხებს საქართველოს განვითარებაზე ხარჯავთ, ეს ქვეყანა კი არჩევნებიდან არჩევნებამდე პრეაპოკალიპტურ რეჟიმში ცხოვრობს და არ იცი, არჩევნების შემდეგ საერთოდ დარჩება თუ არა რუკაზე. ამ დონეზე მაღალი ანტაგონისტურობით გამოირჩევა ჩვენს ქვეყანაში პოლიტიკური პროცესები. ამის განსამუხტად შემოთავაზებული საარჩევნო რეფორმა შესაძლოა, გამოსავალი გამხდარიყო პოლიტიკური პროცესების გაჯანსაღებისთვის, თუმცა ითქვა უარი და ეს უკვე ქვეყანას სხვადასხვა ტიპის პრობლემებს უქმნის, მათ შორის — ეროვნული უსაფრთხოების კუთხითაც“.

რაც შეეხება ე.წ. „ფანჯრებს“, გობრონიძე ქვეყნის შიგნით არსებული ვითარების გათვალისწინებით, ამ მხრივ უკვე სკეპტიკურად არის განწყობილი:

— ქვეყანამ, რომელიც ცხოვრობს არაამქვეყნიური პოლიტიკური და ეკონომიკური პრინციპებით, შეიძლება, ვისაუბროთ რომელიმე ხელსაყრელი მომენტისა თუ შანსის გამოყენებაზე?! ნაცვლად იმისა, რომ ვატარებდეთ დემოკრატიულ რეფორმებს, დაკავებულები ვართ ორი საკითხით: ვასამარებთ საკუთარ ქვეყანას და შემდეგ ვმკითხაობთ, ვინმე გააკეთებს თუ არა ჩვენს გასაკეთებელ საქმეს? იმდენად დავამძიმეთ ქვეყნის შიგნით ვითარება, რომ ახლო თუ შორეულ აღმოსავლეთში, ლათინურ ამერიკაში თუ მარსზე რა ხდება — აღარ გვეხება, ვერც ცუდ და ვერც კარგ კონტექსტში ვეღარ მოახდენს არსებით გავლენას ამ სტატუს-კვოზე. ჩვენ სერიოზული პრობლემები ქვეყნის შიგნით გვაქვს მოსაგვარებელი, რადგან რა შესაძლებლობაც არ უნდა გაჩნდეს, ამას გამოყენების უნარი უნდა, ჩვენ კი ამის უნარი ნამდვილად არა გვაქვს?“.

ᲞᲐᲪᲘᲔᲜᲢᲔᲑᲘ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲓᲐᲜ ᲑᲐᲥᲢᲔᲠᲘᲝᲤᲐ�გᲔᲑᲘᲗ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲓ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲛᲘᲓᲘᲐᲜ



ᲞᲐᲪᲘᲔᲜᲢᲔᲑᲘ მთელი მსოფლიოდან ბაქტერიოფაგებით სამკურნალოდ საქართველოში მიდიან, — ამის შესახებ „დოიჩე ველე“ წერს, რომელმაც ბაქტერიოფაგების სარგებლიანობაზე სტატია გამოაქვეყნა.

„დოიჩე ველე“ სტატიაში ანტიბიოტიკების მიმართ რეზისტენტულობაზე ამახვილებს ყურადღებას და წერს, რომ ამას ებრძვიან საქართველოდან ბაქტერიის შთამნთქმელები.

„რა უნდა ვქნათ მაშინ, როდესაც ანტიბიოტიკები ეფექტური ველარ იქნება? ბაქტერიის შთამნთქმელები საქართველოდან ანტიბიოტიკების მიმართ რეზისტენტულობას ებრძვიან. პაციენტები მთელი მსოფლიოდან საქართველოში მიდიან ბაქტერიოფაგებით სამკურნალოდ“, — აღნიშნულია სტატიაში.

ამასთან, სტატიაში განმარტებულია, რომ ბაქტერიოფაგები არის ვირუსები, რომლებიც მათი მასპინძელი ბაქტერიის გამრავლებას ებრძვიან. ბაქტერიოფაგებით თერაპია ფაგების ორალურად მიღებას გულისხმობს, რის შემდეგაც ისინი პაციენტის ორგანიზმში გადარჩენისთვის კოლეგა ბაქტერიებს ემაგრებიან. ფაგები ბაქტერიული უჯრედის პოლარობას ცვლიან, ამის შედეგად ახალ-ახალი ფაგები წარმოიქმნება და მათი გამოთავისუფლება ხდება. გამოთავისუფლებული ფაგები კი, სხვა ბაქტერიებს ემაგრებიან და ასე ბოლომდე, ვიდრე ყველა ბაქტერია არ განადგურდება. ამ ეტაპზე ბაქტერიოფაგებით მკურნალობა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ნებადართული არ არის.

„დოიჩე ველე“ ნიდერლანდებში მცხოვრებ ტანია დიდერენს ესაუბრა, რომელმაც ბაქტერიოფაგების მკურნალობის კურსში საქართველოში ჩაიტარა.

სტატიაში აღნიშნულია, რომ ტანია დიდერენს 30 წელია, კანის ქრონიკული დაავადება ინვერსიული აკნე აქვს. 2019 წლის ზაფხულში მან რადიკალური გადაწყვეტილება მიიღო და ანტიბიოტიკებით მკურნალობა შეწყვიტა, რომელიც სულ უფრო ნაკლებად ეფექტიანი იყო. ის საქართველოში გაემგზავრა, სადაც ბაქტერიოფაგებით მკურნალობის ორკვირიანი კურსი ჩაიტარა. პაციენტი იხსენებს, რომ ბაქტერიოფაგების შესახებ ინფორმაცია სატელევიზიო პროგრამიდან შეიტყო, რის შემდეგაც ინტერნეტში მკურნალობის მეთოდის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მოძიება გადაწყვიტა. ასე აღმოაჩინა ტანია დიდერენმა გიორგი ელიავას სახელობის ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტი, რომელსაც დღეს მსოფლიოში ბაქტერიოფაგებით ყველაზე დიდი კოლექცია აქვს.

„დოიჩე ველე“ წერს, რომ ორკვირიანი კურსის შემდეგ პაციენტი სამშობლოში ფაგებით დატვირთული დაბრუნდა. ტანია ამბობს, რომ ის ახლა თავს კარგად გრძნობს. ინვერსიული აკნე თავს ისევ ახსენებს, თუმცა ისე მწვავე ფორმით არა, როგორც მანამდე. ყოველ სამ თვეში კი, ბელგიაში მიემგზავრება საქართველოდან გაგზავნილი ბაქტერიოფაგების წამოსაღებად. ბელგია ერთადერთი დასავლეთ ევროპული ქვეყანაა, სადაც ფაგები ნებადართულია.

სტატიის თანახმად, ანტიბიოტიკების მსგავსად, ბაქტერიოფაგების გამოყენებამ შეესაძლოა, მიგვიყვანოს ბაქტერიების რეზისტენტულობამდე. თუმცა, მათი დიდი უპირატესობა არის ის, რომ ერთი ნაბიჯით ყოველთვის უსწრებენ ბაქტერიებს და შეუძლიათ, დაძლიონ რეზისტენტულობა. ასევე, ისინი ყოველთვის მიმართულია კონკრეტული ტიპის ბაქტერიის წინააღმდეგ და ამგვარად სასარგებლო ბაქტერიებს ზიანს არ აყენებენ.

„დოიჩე ველე“ ხაზს უსვამს, რომ ფაგებით მკურნალობის დაწყებამდე აუცილებელია, განისაზღვროს, რომელი ბაქტერია იწვევს დაავადებას. ხშირ შემთხვევაში, ფაგები პაციენტისთვის ინდივიდუალურად იწარმოება.

„ᲓᲝᲘᲩᲔ ᲕᲔᲚᲔ“

Deutsche Welle

მაგთი MAGTI

ჩვენ ქართულ საქმეს ვაკეთებთ

არქიტექტურული ჰიმნი თბილისს

სამამულო ბიზნესის ერთ-ერთმა ლიდერმა კომპანია მაგთიკომმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ერთგული რჩება თავისი დევიზისა „ჩვენ ქართულ საქმეს ვაკეთებთ“ — მისი ხელშეწყობით ჩვენი გამოჩენილი თანამოქალაქის გიგა ბათიაშვილის კრებული „არქიტექტურული ესკიზები, პროექტები, პუბლიცისტური წერილები, ფერწერა“ გამოიცა, რომლის პრეზენტაცია გიორგობის დიდ საუფლო დღესასწაულამდე ორიოდე დღით ადრე მაგთი-კლუბში გაიმართა.

ქართული არქიტექტურის მეტრს **გიგა ბათიაშვილს** რაიმე საგანგებო წარდგენა არ სჭირდება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც საჭიროდ მიმაჩნია, კიდევ ერთხელ აღვნიშნო, რომ იგი, უწინარესად, თბილისის საპატიო მოქალაქე, საქართველოს დამსახურებული არქიტექტორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, არქიტექტურის საერთაშორისო, აღმოსავლეთის ქვეყნების არქიტექტურის, საქართველოს საინჟინრო და სხვა აკადემიების აკადემიკოსი, მრავალი საერთაშორისო და სამამულო პრემიის ლაურეატი, დოქტორი, პროფესორი გახლავთ.

„ჩემმა მეგობრებმა, თანამოაზრეებმა, ასეთები, საბედნიეროდ, არაერთია, მირჩიეს, ჩემი შეხედულებები წერილობით და გრაფიკულად დამესტამბა, თუნდაც როგორც გაგრძელება წიგნისა „ჩემი ცხოვრება თბილისის არქიტექტურაში“. ყოყმანის შემდეგ გადავწყვიტე, ისევ არქიტექტურულ თემატიკას შევხებოდი. არქიტექტურა ხომ ბევრის მომცველია, მრავალასპექტიანია, ამიტომაც ჩემი ნაფიქრი არაერთთემიანია“, — აღნიშნავს ბატონი გიგა წიგნის შესავალში. თანამემამულეთადმი მიმართ მიმართვაში კი გვახსენებს, რომ **„...თითქმის ყოველივე წარმავალია. არქიტექტურა-ხუროთმოძღვრება კი მემატიანეა, სარკეა, ამსახველია დროში მიმდინარე პროცესებისა, ქვეყნის ეკონომიკურ-პოლიტიკური მდგომარეობისა, კულტურის დონისა, ილუსტრაცია მმართველის ეროვნულობისა და სახელმწიფოებრივი ხედვისა, აზროვნებისა, მისი მასშტაბურობისა“**.

ამდენად, სავსებით ბუნებრივია, რომ ღვაწლმოსილი ხუროთმოძღვრის ახალი წიგნის, ასე ვთქვათ, „მთავარი გმირი“, მისი „გამჭოლი პერსონაჟი“ სწორედ საზოგადოებრივი სივრცის მოწყობა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხია, თუმცა კი ამის გარდა, გარკვეული ადგილი მის პუბლიცისტურ წერილებსა და უაღრესად შთამბეჭდავ ფერწერას აქვს დათმობილი.

აუცილებლად უნდა ითქვას ისიც, რომ წიგნის კიდევ ერთი უპირობო გმირია ჩვენი საყვარელი თბილისი, რომლისთვის უწინდელი იერისა და პეწის აღდგენასა და დამშვენებას ბატონმა გიგამ არაერთი ათწლეული გოლგოთური შრომა უძღვნა.

„გიგა ბათიაშვილს თბილისის საკუთარი მოდელი აქვს წარმოდგენილი... განსაკუთრებული სიყვარულით გრძნობს ძველ თბილისს, როგორც ცოცხალ ადამიანთა პულსს და, ალბათ, ჩვენსავით სძულს „უახლესი“ თბილისი, როგორც ჩაბეტონებულ ადამიანთა ნეკროპოლისი“, — წერს წინასიტყვაობაში ბატონი **დავით ანდრიაძე**. ამას მისი პუბლიცისტური წერილების დასათაურებებიც მოწმობს, მათ შორის, „თბილისი გუშინ, დღეს და ხვალ“, „ისტორიული თბილისი — თბილისის ბირთვია“, „რითია თბილისი სხვა ქალაქებისგან განსხვავებულიც და განსაკუთრებულიც?“ „რა დააშავა თბილისმა?“, „თბილისში სამთავრობო ზონის გადატანის მიზანშეწონილობის გამო“, „თბილისის City — „საჯეირნო“, ასევე „საიდან მოვდივართ და საით მივდივართ“, „იქ სადაც დასავლეთს აღმოსავლეთის სურნელება გააჩნია — რა კულტურის პროდუქტები ვართ ჩვენ“, „ქალამნების დროში რომ არ ჩავრჩეთ!“, „რა განაპირობებს მაღალი დონის არქიტექტურას?“, „უცხო ტომის არქიტექტორი ქართულ სინამდვილეში“, „არქიტექტურა ეროვნული კულტურის სარკეა“, „არქიტექტურული ფუტუროლოგია“ და სხვა.



— ძვირფასო მეგობრებო, საზოგადოებაში დღენიადაგ უამრავი კარგი რამ კეთდება, თუმცა, სამწუხაროდ, ბევრიც ცუდი. მოხარული ვარ, რომ ჩვენს ქვეყანაში არიან ისეთი ადამიანები, ვისაც სიკეთის კეთება უხარიათ, მათ შორის კი განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო კომპანია მაგთიკომი და მისი თავკაცი, ბატონი გია ჯოხთაბერიძე — დევიზი „ჩვენ ქართულ საქმეს ვაკეთებთ“ ქაღალდზე დაწერილ ლოზუნგად კი არ რჩება, არამედ ერთგვარი სამოქმედო გეგმაა, — თქვა საკუთარი წიგნის წარდგენისას ბატონმა გიგა ბათიაშვილმა. — ამის დასტური თუნდაც ის წიგნია, რომელსაც დღეს წარმოგიდგენთ. ბუნებრივია, საქართველოს ბედ-იღბალი ყველას გვადარდებს, მაგრამ მნიშვნელოვანია ასევე ისიც, რომ ჩვენ მატარებლები ვართ იმ ხალხის გენებისა, ვინც ქვეყანა დღევანდლამდე მოიყვანა და თუკი ეს გენები არ შევინარჩუნეთ, არაფერი გამოვა. ამის გაკეთება კი ეროვნული თვითმყოფადობის, კულტურის მოვლა-პატრონობაზე გადის. ჰოდა, რაოდენ სამწუხაროა, რომ ეროვნულ ღირებულებებს დღესდღეობით ჯეროვანი ყურადღება არ ეთმობა, არადა, მათი არათუ დაკარგვა, არამედ მილევად რეჟიმში გადაყვანაც კი ცივილიზაციას გააღატაკებს, ვინაიდან ის, პირველ ყოვლისა, ეროვნული კულტურების ნაირფეროვნებითაა საინტერესო. გარდა ამისა, საჭიროა იმის გათავისებაც, რომ ძველ საძირკველზე დაფუძნებული მიმზიდველი ეროვნული დოქტრინის გარეშე ახალ საქართველოს ვერ ავაშენებთ, ხოლო მის შესაქმნელად თითოეულმა ჩვენგანმა თავისი წილი უნდა გაიღოს.

ვიდრე ბატონ გიგა ბათიაშვილის წიგნის წარდგენის შესახებ საუბარს განვაგრძობდე, მინდა კიდევ ორიოდე სიტყვა თავად გამოცემასა და, რაც მეტად საგულისხმოა, კომპანია მაგთიკომის შესახებ ვთქვა.

წიგნი ჩვენი გამოჩენილი ხუროთმოძღვრის მიერ სხვადასხვა წლებში შექმნილი არქიტექტურული პროექტებით, ესკიზებით, შენობების ფოტოსურათებით და, როგორც ზემოთ ითქვა, ფერწერული და გრაფიკული ნახატებითაა ილუსტრირებული.

რაც შეეხება ამ მართლაც რომ მონუმენტური, არაჩვეულებრივი წიგნი-ალბომის გამოცემას, ეს, კომპანია მაგთიკომის სრული მხარდაჭერით გახდა შესაძლებელი.

— კომპანია ერთგულია თავისი ფასეულობის ამსახველი დევიზისა „ჩვენ ქართულ საქმეს ვაკეთებთ“ და ცდილობს, საზოგადოებას სრულფასოვანი წარმოდგენა შეუქმნას საქართველოს გამოჩენილ მოღვაწეთა შემოქმედებაზე. მოხარული ვართ, რომ გიგა ბათიაშვილის ახალი წიგნი მაგთიკომის ხელშეწყობით გამოცემულ ასობით უნიკალურ წიგნს შეემატა. კომპანია კვლავაც გააგრძელებს ქართული კულტურისა და ხელოვნების პოპულარიზაციასა და მხარდაჭერას, — განაცხადეს მაგთიკომში.

წიგნის პრეზენტაციაზე ავტორისადმი გულთბილი სიტყვები არ დაიშურეს ქართველი საზოგადოების გამორჩეულმა პირებმა, მათ შორის, არქიტექტურის აკადემიკოსმა, რუსთაველის პრემიის ლაურეატმა **ვახტანგ დავითაიამ,** სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა **პაატა კოღუაშვილმა,** შოთა რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტმა, პოეტმა **დავით შემოქმედელმა,** სხვებმა.

— წიგნი კარგად მაქვს წაკითხული და ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს მან თავად დაწერა საკუთარი თავი — მასში იმდენი საგულისხმო მომენტია, რომ არც იცი პრიორიტეტი რომელს მიანიჭო, — თქვა ბატონმა ვახტანგ დავითაიამ.

— არქიტექტურა ხელოვნების მდგენელია, მისი ნაწილია, ბატონი გიგა კი თავად იქცა კულტურის ნაწილად, რომლის მოვლა-პატრონობას და პატივისცემას ცხოვრება მიუძღვნა, მისი ახალი წიგნი კი ჰიმნია თბილისისა, — აღნიშნა ბატონმა პაატა კოღუაშვილმა.

— ბატონი გიგა ბათიაშვილი ის კაცია, რომელსაც ეპოქის ჭუჭყი არ მოსცხებია, იგი ქართული სულის მეცნიერია, რომელმაც ქვეყანა უნდა გადაარჩინოს, — ამ სიტყვებითკ მიმართა დამსწრეთ ბატონმა დავით შემოქმედელმა.

ასევე ხაზგასმით აღინიშნა, რომ მიუხედავად იმისა, ბატონ გიგა ბათიაშვილს წარსულში უამრავი რამ აქვს გაკეთებული, იგი მაინც მომავლის არქიტექტორია, რასაც მისი მეგობრები და თაყვანისმცემლები გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკიდან“ სავსებით ვიზიარებთ.

ოთარ ტურაბელიძე

პრეზიდენტის სასახლე. არქიტექტორი გიგა ბათიაშვილი.



27 ნოემბერს გიწვევთ „KING DAVID“-ში

ხმა ერის გასაგონად!

ეროვნული თანხმობის გზით

ინტელიგენცია დუმილს არღვევს და იწყებს საჯარო საუბარს მომავლის საქართველოზე

ინტელიგენციის ცნობილმა წარმომადგენლებმა: **რომან რურუამ** — მრავალგზის მსოფლიო და ოლიმპიურმა ჩემპიონმა; **ანზორ ერქომაიშვილმა** — საქართველოს სახალხო არტისტმა, რუსთაველის პრემიის ლაურეატმა, ანსამბლ„რუსთავის“ ხელმძღვანელმა; **გიგა ბათიაშვილმა** — არქიტექტურის დოქტორმა, არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსმა, თბილისის საპატიო მოქალაქემ; **გივი თოიძემ** — რუსთაველის პრემიის ლაურეატმა, სამხატვრო აკადემიის პროფესორმა, პოეტმა **ტარიელ ხარხელაურმა;** საქართველოს სახალხო არტისტმა და სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორმა **თემურ გუგუშვილმა;** ქორეოგრაფმა, ღირსების ორდენის კავალერმა **ომარ მხეიძემ;** მეცნიერებათა დოქტორმა, აკადემიკოსმა **არნოლდ გეგეჭკორმა;** მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა **რეზო ბალანჩივაძემ;** ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა **ჯუმბერ კოპალიანმა;** ლიტერატორმა, რეზო თაბუკაშვილის სახელობის თეატრის ხელმძღვანელმა **იზა ვეფხვაძემ;** მეცნიერებათა დოქტორმა, საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსმა **ვახში ჟვანიამ;** მწერალმა, რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტმა **დავით შემოქმედელმა;** მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა **კობა კობალაძემ** სამთვიანი კონსულტაციების და **„მეცნიერთა კონგრესის — ეროვნული თანხმობისთვის“** პარასკევის შეკრებებზე მოსმენილი პროგრამების გათვალისწინებით, მიიღეს გადაწყვეტილება, დაიწყოს საჯარო საუბარი მომავლის საქართველოზე.

ამ მიზნით, 27 ნოემბერს, 18 საათზე, ბიზნეს-ცენტრ „KING DAVID“-ში („მეფე დავითის“ კომპლექსი, ალექსიძის 12, მე-17 სართ) ისინი იწვევენ ინტელიგენციის წარმომადგენლებს. მათ, მოწვევის წერილი გაუგზავნეს საქართველოს პრემიერ-მინისტრს **გიორგი გახარიას**.

ინტელიგენციის შეკრების ინიციატორებს მიაჩნიათ, რომ ეს უნდა იყოს ღია შეხვედრა, რომელზეც მონაწილეობის უფლება აქვს ყველას, ვინც გაიზიარებს მათ პოზიციას და მიმართავს საორგანიზაციო ჯგუფს. მაქსიმალური საჯაროობის მიღწევის მიზნით, მათ თხოვნით მიმართეს ელექტრონული მედიის წარმომადგენლებს, რათა შეხვედრის ტრანსლირება მიდიოდეს პირდაპირ ეთერში.

გთავაზობთ პოზიციას, რომელიც ჩამოყალიბებულია ძართველი ინტელიგენციის მიერ ხელმოწერილ წერილში:

თანამემამულენო,

ჩვენ, ამ წერილზე ხელისმომწერნი, 2011-12 წლებში, დიდი მამულიშვილის მერაბ ბერძენიშვილის მუზეუმ-სახელოსნოში, როცა ვქმნიდით ეროვნული განწყობის „მოქმედების მანიფესტს“ — „ერთი სამშობლო, ერთიანი ერი, გაერთიანებული სახელმწიფო“, ოდნავაც არ ვეჭვობდით იმაზე, რომ ამ მიწის, ამ წყლის, ამ ჰაერის, ამ სითბოს, ამ ბუნებრივი და ადამიანური რესურსების, ამ გეოგრაფიული და ინტელექტუალური პოტენციალის ქვეყანაში ასე ვიცხოვრებდით. 2013 წელს, სახელისუფლებო ცვლილებების შემდგომ, როცა ასევე დიდი მამულიშვილის რეზო ჩხეიძის სახლში მოვაწერეთ ხელი ამ დოკუმენტს, ღრმად ვიყავით დარწმუნებული, რომ საერთო ძალისხმევით, მოკლე პერიოდში იყო შესაძლებელი რადიკალური ცვლილებების დაწყება.

ჩვენ, ყველანი ვგრძნობთ და ვხედავთ, თუ რა სირთულეების წინაშე დგას ქვეყანა, სად მიგვიყვანა დაპირისპირებამ. პოლიტიკოსებმა თითქმის 30 წელია, თავს მოგვახვიეს ქუჩის პოლიტიკა, რომელიც ეყრდნობა ემოციას და აძლიერებს აგრესიას, იგნორირებულია მეცნიერება, საზოგადო მოღვაწეთა და მამულიშვილთა, საერთოდ, ინტელიგენციის პოზიცია, ვერ დავძლიეთ შიში, ვერ დამკვიდრდა კონკურენტული გარემო, რომელიც არის საფუძველი ქვეყნის განვითარების და ეკონომიკური სიძლიერის... რეალურად ვცხოვრობთ გონებადაკარგული პოლიტიკის პირობებში. ყველაფერ ამაში ჩვენი ბრალიცაა. პირველ რიგში — ინტელექტუალური ადამიანებისა, რომელთა დუმილმა წაახალისა არაერთი მოუმზადებელი და უმწიფარი პიროვნების მოხვედრა პოლიტიკასა და ხელისუფლებაში.

ასე გაგრძელება აღარ შეიძლება. საჭიროა სისტემური გარდაქმნები. უნდა დამთავრდეს ანონიმური და ერთპიროვნული გადაწყვეტილებების და მოქმედებების დრო და დავიწყოთ სოლიდარული მოძრაობა ქვეყნის გადარჩენისთვის, რაც შეუძლებელია მეცნიერების და იმ ადამიანების გარეშე, რომელთა მეთოდია მეცნიერული, სისტემური მიდგომები ყველაფრის, მათ შორის, რეფორმებისა და გარდაქმნების მიმართ.

ჩვენ ღრმად გვწამს, რომ მომავლის საქართველო წარმოუდგენელია, როგორც ასეთი დაპირისპირების პირობებში, ასევე თანამშრომლობის ჰარმონიზაციის გარეშე...მთავარ პრობლემებზე ხალხის, ეკლესიისა და ხელისუფლების ძალისხმევისა და კონცენტრირების გარეშე.

სწორედ ამ განწყობით ვიკრიბებით. ვიწვევთ ხელისუფლების პირველ პირებსაც, საზოგადო მოღვაწეებსაც, ბიზნესის წარმომადგენლებსაც, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური მისიების ხელმძღვანელებსაც, პოლიტიკოსებსაც, არასამთავრობო სექტორისა და მედიის წარმომადგენლებსაც. შეხვედრაში მონაწილეობის მსურველთა დიდი რაოდენობის გამო, რასაც ერთი დარბაზი ვერ დაიტევს, სასურველია, ეს შეხვედრა მიდიოდეს პირდაპირი ეთერით, რათა საქართველოს მოსახლეობას, უცხოეთში მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებს, ჩვენს უცხოელ მეგობრებსაც ჰქონდეთ იმის საშუალება, რომ გახდნენ ამ პროცესის მონაწილენი.

ჩვენ ასე ვფიქრობთ, რომ ინტელიგენციამ ხელისუფლებასთან, ეროვნული ცნობიერების პოლიტიკურ პარტიებთან ერთად უნდა შეძლოს იმედის დაბრუნება უიმედობით სავსე ქვეყანაში. ყოველგვარი ლანძღვა-გინების გარეშე შევთავაზოთ ხალხს და ქვეყანას იმედიანი პროგრამები. ჩვენ ასე წარმოგვიდგენია, რომ გარკვეული პერიოდულობით, ყველას, ვისაც ექნება მომავალზე ორიენტირებული პროგრამა, მივცეთ საშუალება, წარმოადგინოს განსახილველად შეხვედრებზე. შემდგომ კი თითოეული პროგრამის განხილვა მოხდება ექსპერტ-სპეციალისტთა ფართო მონაწილეობით. რაც მთავარია, მთელი ეს პროცესი უნდა იყოს საჯარო: ყველას ჰქონდეს საშუალება მონაწილეობის მიღებისა და ხელისუფლებისადმი წარდგენილი დოკუმენტის წვდომისა.

ჩვენი სურვილია, გვერდში დავუდგეთ მეცნიერთა დიდი ჯგუფის ინიციატივებს, რომლებიც ჩამოყალიბებულია წიგნებად ქცეულ კრებულებში: „გზა ცივილიზებული სახელმწიფოსკენ“ და „ახალი განზომილება - რა შევცვალოთ, რომ გადავრჩეთ“. ვფიქრობთ, მხარდასაჭერია მეცნიერთა წინადადება „ქართული დოქტრინის“ შემუშავებისა და 2020 წლის 8 თებერვალს, დავითობას, გელათში, გელათის აკადემიის ისტორიულ კედლებში მისი განხილვის დაწყების თაობაზე და, რაც მთავარია, მხარდასაჭერია მეცნიერთა ის წინადადება, რომ 2020 წლის აპრილში, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდ კონგრესზე შევაჯამოთ ქვეყანაში არსებული მდგომარეობა და განვსაზღვროთ მომავლის საქართველოს მთავარი ორიენტირები.

ჩვენ ვიზიარებთ მეცნიერთა წინადადებას, რომ ამ კონგრესმა მოისმინოს სამი პოზიცია: ხელისუფლების, მეცნიერებათა აკადემიის და იმ ჯგუფის, რომელთაც სამი წელი იმუშავეს და ქვეყანაში არსებულ მდგომარეობაზე, ქვეყნის პოტენციალზე და საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით, შექმნეს ქვეყნის განვითარების კონცეფცია „გზა ცივილიზებული სახელმწიფოსკენ“ და ათასობით ადამიანთა მონაწილეობით, „ხალხის წერილი“, რომელსაც დღემდე 50 ათასამდე თანამემამულემ მოაწერა ხელი და რომელიც ექვს თვეზე მეტი ხნის წინ წარედგინა ქვეყნის მთავრობას.

27 ნოემბრის შეხვედრაზე განსახილველად წარმოვადგენთ ამ პროცესის განვითარების ჩვენეულ ხედვას. ამავე დროს, საშუალება გექნებათ, მოისმინოთ ათამდე სამომავლო პროექტი.

დიდი სიამოვნებით მივიღებთ თქვენს წინადადებებს ამ პროცესის სრულყოფის და მომდევნო შეხვედრებზე განსახილველი საკითხების თაობაზე.

პროექტ „გზა ცივილიზებული სახელმწიფოსკენ“ მხარდამჭერი ფონდის პრესცენტრი

(საკონტაქტო პირი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ლუარა ნიჟარაძე 555 93 75 48).

საიდან ამდენი ღიმილი...

ანზორ ერქომაიშვილი იაპონელ მეგობრებთან

საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ანზორ ერქომაიშვილის წიგნის „არიგატო გოზიმაშტა ანუ საიდან ამდენი ღიმილი?!“ წარდგენა გაიმართა.

წიგნის ავტორი საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლ „რუსთავის“ დამაარსებელი და უცვლელი ხელმძღვანელია.

წიგნი იმ ხანგრძლივ საგასტროლო ტურნეზე მოგვითხრობს, ანსამბლმა 2018 წელს იაპონიაში რომ გამართა.

ავტორი გადამდები ემოციით გვიზიარებს საგასტროლო შთაბეჭდილებებს, გვაცნობს იაპონელთა ტრადიციებსა და თანამედროვე ყოფას, მათ სტუმართმოყვარეობას. წიგნის რეფრენი — „საიდან ამდენი ღიმილი!?“ — ბუნებრივად მიგვანიშნებს, თუ რა დიდი სითბო და სიყვარული გამოხატეს იაპონელებმა ქართველ ხელოვანთა მიმართ.

წიგნი ორენოვანია იაპონურად თარგმნა ქართული ენის სპეციალისტმა Yasuhiro Kojima-მ.

შეხვედრაზე საინტერესო მოგონებებით გამოვიდნენ იაპონიის ელჩი საქართველოში UEHARA TADAHARU, მთარგმნელი Yasuhiro Kojima, ანზორ ერქომაიშვილი, რევაზ ტაკიძე, ფრიდონ სულაბერიძე, ანსამბლის წევრები.

საღამოს დასასრულს ანსამბლმა „რუსთავმა“ არაჩვეულებრივი კონცერტი შესთავაზა დამსწრე საზოგადოებას, ხოლო ქართველი მომღერლების მიერ აჟღერებულმა იაპონურმა სიმღერამ აღფრთოვანებაში მოიყვანა დარბაზში ბლომად წარმოდგენილი იაპონელი სტუმრები.

რევაზ თოფურია



რაცა გვჭირს, სულ დასავლური დემოკრატიის ბრალია!

თბილისში 18 ნოემბრის აქციის დაშლის შემდეგ დაკავებულების სასამართლო დასრულდა. პირველ დღეს 37-ივე დაკავებულის საქმეს ერთი მოსამართლე განიხილავდა. გუშინწინ გამოცხადებული ინფორმაციის თანახმად, დაკავებულთა ნაწილს რამდენიმედღიანი პატიმრობა მიესაჯა. პარალელურად, საპროტესტო აქციის ორგანიზატორებმა 25 ნოემბერს, ორშაბათს, კიდევ ერთი დიდი საპროტესტო აქცია და პარლამენტის პიკეტირება დააანონსეს.

თბილისში მიმდინარე მოვლენებს აფასებენ რეგიონის მკვლევარები.

ვაშინგტონში **ლუის ნავარო**, საგარეო პოლიტიკის კვლევის ინსტიტუტის პოლიტიკური მიმომხილველი, ამბობს, რომ აქციის დარბევა აჩვენებს, რომ სახეზეა „ქართული ოცნების“ პოლიტიკური კრიზისი: **„გასული წელიწადნახევრის განმავლობაში, ბიძინა ივანიშვილის მთავრობამ უკვე მესამედ გადაწყვიტა, რომ აუცილებელი იყო საპროტესტო აქციის ძალით დაშლა. პირველი „თეთრი ხმაურის“ მოძრაობის აქცია იყო, შემდეგ ივნისის მოვლენები, ახლა კი ეს. ეს არის მთლიანად „ქართული ოცნების“ მთავრობის კრიზისი და აჩენს შეკითხვას იმაზე, თუ რა მოხდება 2020 წელს,“** — ამბობს ნავარო.

მისი აზრით, პროპორციული საარჩევნო სისტემა მნიშვნელოვანი იქნებოდა იმისთვის, რომ ხალხის ნება სრულად ყოფილიყო გამოხატული პარლამენტში: **„2012 წლისგან განსხვავებით, როდესაც ოლიგარქის მხარდაჭერილი ოპოზიცია ჰყავდა საქართველოს, ახლა პროპორციული საარჩევნო სისტემა აძლევს უფრო მეტ საშუალებას ხალხს, რომ გამოხატონ საკუთარი ნება და უზრუნველყოფს იმასაც, რომ მათი ნება სრულად იყოს გამოხატული პარლამენტში. თუ მთავრობას ადარდებს ის, თუ როგორ შეცვლის ეს მათ შესაძლებლობას, შეინარჩუნონ ძალაუფლება, მაშინ მათ შეეძლოთ, რომ მიეღოთ პროპორციული საარჩევნო სისტემა და აეწიათ ბარიერი 3-დან 5 პროცენტამდე. ამის მაგივრად, ისინი მხარს უჭერენ იმავე სისტემას, რომელზეც, 2012 წელს თავადვე ამბობდნენ, რომ არ იყო სამართლიანი. შემდეგ კი ამავე სისტემით შეძლეს 2016 წელს კონსტიტუციური უმრავლესობა მიეღოთ. ეს ყველაფერი მხოლოდ იმიტომ გახდა შესაძლებელი, რომ მათ ზურგს ოლიგარქი უმაგრებდა“.**

ნავარო ამბობს, მნიშვნელოვანია, რომ ქვეყანაში დემოკრატიამ არ შეწყვიტოს განვითარება: **„საქართველოში არსებობს პოლიტიკური კლასი იმ ხალხისა, ვინც შეძლო, რომ საკუთარი სკამი შეენარჩუნებინა, მიუხედავად იმისა, თუ ვინ იყო მთავრობაში. მაჟორიტარები, ვინც ხმა არ მისცა პროპორციულ ცვლილებებს, არიან ის ადამიანები, ვინც თანამდებობაზე იყვნენ არამხოლოდ ბიძინა ივანიშვილის, არამედ მიშა სააკაშვილის და ედუარდ შევარდნაძის დროსაც. ვფიქრობ, ესეც არის ერთ-ერთი ნაწილი იმისა, რაც უნდა შეიცვალოს საქართველოში. ერთი რამ, რასაც ქართველი პოლიტიკოსები ყოველთვის ვერ ხვდებიან, ისაა, რომ დემოკრატიას არ აქვს ფინიშის ხაზი, ის მუდმივად უნდა ვითარდებოდეს და გამოხატავდეს ხალხის ინტერესებსა და პრიორიტეტებს“,** — თქვა ნავარომ „ამერიკის ხმასთან“ საუბარში.

ლუის ნავაროს და ჯონათან კაცს ქართველი ხალხის მტერი ნაციონალური ოპოზიციის ძალადობა „მშვიდობიანი აქცია“ ჰგონიათ!

კიდევ ერთი ანალიტიკოსი **ჯონათან კაცი**, გერმანიის მარშალის ფონდიდან ამბობს, რომ ძალის გამოყენება მშვიდობიანი აქციის მონაწილეების წინააღმდეგ დაუშვებელია: **„ამერიკამ და ევროკავშირმა უკვე გააკეთეს განცხადებები იმის შესახებ, რომ მთავრობამ პატივი უნდა სცეს მშვიდობიან პროტესტს. საქართველოს მთავრობას ნამდვილად არ უნდა უნდოდეს იმის გამეორება, რაც ივნისში მოხდა. თუ ისინი ამ მიმართულებით წავლენ, მაშინ ნეგატიურ შედეგს მიიღებენ, არა მხოლოდ საქართველოში, არამედ პარტნიორების მხრიდანაც. ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ მთავრობა მოუსმენს ხალხს, მიუხედავად იმისა, ეთანხმებიან თუ არა მას. იმისთვის, რომ მოინახოს გამოსავალი იმ სირთულეებიდან, რაც ახლა არსებობს, რასაც ხალხი აპროტესტებს. ეს კი კონსტიტუციური ცვლილებები, პროპორციული საარჩევნო სისტემაა. ხალხს სურს დემოკრატია, რომლის განვითარებაშიც საკუთარი წვლილის შეტანა შეუძლიათ. ჯერჯერობით, არ მოგვისმენია, რა გამოსავალს ხედავს საქართველოს მთავრობა ამ გამოწვევებიდან, მხოლოდ ის ვიცით, რომ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები ისევ ძველი სისტემით ჩატარდება, არადა, თუ შევხედავთ საქართველოში ჩატარებულ ბოლო, საპრეზიდენტო არჩევნებს, უნდა ვთქვათ, რომ ეს არ იყო საქართველოს საუკეთესო მომენტი“.**

ჩვენს შეკითხვაზე, თუ რატომაა მნიშვნელოვანი 2020 წლისთვის პროპორციული საარჩევნო სისტემის ქონა, ჯონათან კაცმა გვიპასუხა: **„პირველ რიგში იმიტომ, რომ მთავრობა ამას დაჰპირდა ხალხს და ამ დაპირების შესრულება არის მნიშვნელოვანი. ასევე, ეს სისტემა ბევრ სხვა პარტიას აძლევს საშუალებას, მიიღოს არჩევნებში მონაწილეობა, რაც ქართული დემოკრატიისთვის მნიშვნელოვანია. ასევე, მნიშვნელოვანია ისეთ ქვეყანაში, სადაც ძალაუფლების ცვლილება ხდებოდა და სრულად ხვდებოდა ერთი ან მეორე პარტიის ხელში. ამიტომაც კრიტიკულია, მას ჰყავდეს სწორი, დემოკრატიული მთავრობა, რომელიც ხალხს წარმოადგენს, რომელიც არ იქნება მხოლოდ ამ სრული ძალაუფლების მიღების სურვილით შეპყრობილი, საჭიროა პოლიტიკური სიმწიფე. განსაკუთრებით, ახლა, როდესაც ქვეყანა ევროატლანტიკურ გზას ადგას. თანაც ორივე მხარე, როგორც ოპოზიცია, ისე მთავრობა, შეთანხმდნენ, რომ ეს ცვლილებები საჭირო იყო. იმავეზე თანხმდებოდა სამოქალაქო საზოგადოებაც. ამიტომ, იმედი მაქვს, რომ ეს მოხდება“.**

ჯონათან კაცი თვლის, რომ ქართველი პოლიტიკოსები უნდა ფიქრობდნენ იმაზე, თუ როგორ უღებს კარს მიმდინარე კრიზისი რუსეთს. კაცის აზრით, საქართველოში უკვე არსებობენ პოლიტიკური ჯგუფები, რომლებიც რუსეთთან არიან ასოცირებულები და ქართველმა ხალხმა და პოლიტიკოსებმა არ უნდა მისცენ მათ საშუალება, რომ საქართველოს დემოკრატიის განვითარება შეაჩერონ.

მარიამ უგრეხელიძე

„ისლამური სახელმწიფოს“ ბრიტანელი წევრების შვილებს ქვეყანაში დააბრუნებენ

დიდი ბრიტანეთი, გერმანიის მსგავსად, ტერორისტული დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფოს“ ბრიტანელი წევრების დაობლებულ ბავშვებს ქვეყანაში დააბრუნებს.

ინიციატივა დიდი ბრიტანეთის მთავრობას ეკუთვნის და როგორც ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, მათთვის მთავარია, ეს ბავშვები ნორმალურ ცხოვრებას დაუბრუნდნენ. „ჩვენ ხელს შევუწყობთ უდანაშაულო ბავშვების შინ დაბრუნებას. მათ აღარ უნდა ნახონ ომის სისასტიკე და დიდ ბრიტანეთში დაბრუნების შემდეგ ნორმალურ ცხოვრებას დაუბრუნდნენ“, — აღნიშნა დომინიკ რააბმა. საქველმოქმედო ორგანიზაცია **Save the Children** მინისტრის ამ გადაწყვეტილებას მიესალმება. მათი თქმით, სირიაში შესაძლოა, ე.წ. ისლამური სახელმწიფოს ბრიტანელი წევრების 60 ბავშვი იმყოფებოდეს და იმედს გამოთქვამენ, რომ ეს წამოწყება უდანაშაულო ბავშვების ცხოვრებაზე დადებითად აისახება.

გაერთიანებული სამეფოს მსგავსად, ბავშვების რეპატრიაცია ბელგიაში, გერმანიასა და ავსტრალიაში განხორციელდება. თურქეთმა ტერორისტული დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფოს“ უცხოელი მებრძოლების სამშობლოში ექსტრადირება დაიწყო. თურქეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა სულეიმან სოილუმ განაცხადა, რომ თურქეთის ციხეებში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ტერორისტული დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფოს“ დაახლოებით 1200 მებრძოლია.

რუსეთი არაადამიანური მოპყრობისთვის დააჯარიმეს

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ რუსეთი დაადანაშაულა ადამიანის უფლებათა დარღვევისთვისა და არადამიანური მოპყრობისთვის თავშესაფრის მაძიებელთა მიმართ.

ერაყელი, პალესტინელი, სირიელი და სომალელი მოქალაქეები რუსეთის მთავრობის გადაწყვეტილებით არ შეუშვეს ქვეყნის ტერიტორიაზე და აიძულეს, რომ გაჩერებულიყვნენ შერემეტოვოს აეროპორტის სატრანზიტო ზონაში 2015-დან 2017 წლამდე, სადაც ადამიანები რამდენიმე თვის განმავლობაში უიმედოდ ელოდებოდნენ თავშესაფრის სტატუსის მინიჭებას.



გამოცემის ინფორმაციით, მოქალაქეებმა 22 თვე გაატარეს აეროპორტში, სადაც იატაკზე გაშლილ მატრასებზე ეძინათ და გაეროს ლტოლვილთა სააგენტოს მიერ მომარაგებული რაციონით არასათანადოდ იკვებებოდნენ.

გერმანული გამოცემის ინფორმაციით, ზემოხსენებული მოქალაქეები მუდმივად იყვნენ გამომწყვდეულები სპეციალურად მოწყობილ ზონებში აეროპორტის ტერიტორიაზე, სადაც მათთვის ხელმისაწვდომი არ იყო სათანადო საშხაპე და სამზარეულოს მოწყობილობები. სტრასბურგის სასამართლოს განცხადებით, დახმარების მაძიებელი ადამიანების მიმართ არაადამიანური დამოკიდებულება ხორციელდებოდა აეროპორტის ადმინისტრაციის მხრიდან. სასამართლოს გადაწყვეტილებით, რუსეთი ვალდებულია, გადაუხადოს სირიელ და ერაყელ მოქალაქეებს 20 000 ევრო, სომალელს — 26 000, ხოლო პალესტინელს — 15 000 ევრო.

ნატომ ავღანეთში კაპიტულაცია გამოაცხადა

ამის შესახებ ჩეხეთის პრეზიდენტმა მილოშ ზემანმა **TV Barrandov**-სთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა. მისი თქმით, თალიბანთან მოლაპარაკების შეწყვეტა ნიშნავს იმას, რომ ნატომ სიმხდალე გამოიჩინა. „ნატო აქტიურად უნდა ებრძოდეს საერთაშორისო ტერორიზმს და გზას არ უნდა უხსნიდეს ტერორისტებს იმისთვის, რომ პოზიციები გაიმყარონ, როგორც ეს ავღანეთში მოხდა. მოლაპარაკებები იქ შეწყდა და არავინ იძლევა იმის გარანტიას, რომ კვლავ განახლდება. ასეთ ვითარებაში თალიბებს ეძლევათ იმის საშუალება, რომ ავღანეთზე კონტროლი დაამყარონ, შექმნან იქ ახალი საერთაშორისო ტერორისტული ცენტრი, რომელსაც ნარკოტიკების გაყიდვით მიღებული შემოსავლით დააფინანსებენ. თალიბანთან მოლაპარაკების შეწყვეტა ნიშნავს იმას, რომ ნატომ სიმხდალე გამოიჩინა და კაპიტულაცია გამოაცხადა,“ — აღნიშნა ზემანმა.

სექტემბრის დასაწყისში დაჯგუფება „თალიბანსა“ და აშშ-ს შორის ავღანეთში სამშვიდობო მოლაპარაკებები ჩაიშალა. აშშ-ის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ნებისმიერი მშვიდობიანი მოლაპარაკება „თალიბანთან“ მკვდარია. „თალიბანში“ კი დაიმუქრნენ, რომ აშშ მოლაპარაკებების შეწყვეტას ინანებს.

ხიგლი სიჩუმის მშვენიერებისა

ამ წიგნს, რომელსაც ახლა გადაფურცლავთ, „მშვენიერება სიჩუმისა“ ჰქვია. მე კი მოკლედ იმ ხიბლზე მინდა, გესაუბროთ, რაც წიგნში შესულ ნაწარმოებებს გააჩნია და რამაც ამ წინასიტყვაობის დაწერისკენ მიბიძგა.

კრებულში შესული დიდი თუ პატარა მოთხრობების გაცნობისას რატომღაც ამეკვიატა დიდი ლიტერატურული ავანტიურისტის, ეპატაჟეების დიდოსტატის მიშელ უელბეკის ციტატა, რომელიც ასე ჟღერს: „სამყაროს პატიოსნად ასახული ალალი სურათი – უკვე შედევრია“.

შემიძლია, ხმამაღლა განვაცხადო, „მშვენიერება სიჩუმისა“, რომელიც მის ავტორს, ბატონ გრიგოლ შონიას წლების განმავლობაში აუჩქარებლად, დინჯად, დაგემოვნებით უწერია და უელბეკისა არ იყოს, შეუქმნია სამყაროს მისეული პატიოსნად ასახული ალალი სურათები, სურათები იმ ეპოქისა, რომელიც ჩვენ გამოვიარეთ, თითქოს მისი დავიწყებაც ვცადეთ, მაგრამ მან თავად არ დაგვავიწყა თავი, არ დაგვავიწყდა ის შუქ-ჩრდილები, ის ცოდვა-მადლი, რომლითაც ასე სავსე იყო XX საუკუნის მეორე ნახევარი, კონტრასტებით სავსე წლები, რომლებიც კოსმიური შავი ხვრელივით გვიზიდავს თავისკენ და მოსვენებას არ გვაძლევს, უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ კარგად გვახსოვს საბჭოთა იმპერიაში მყოფი ქართველობის ერთსულოვნება, ერთ სულ და ერთ ხორცად ყოფნა, იმ იდეალის გარშემო დარაზმვა, რასაც ჭეშმარიტი თავისუფლება ერქვა, ჭეშმარიტი დამოუკიდებლობა ერქვა... ახლა კი...



გრიგოლ შონია დიახაც რომ პატიოსნად ხატავს XX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს, მისი საესავი სამშობლოს ყოფას და ცდილობს, ჩვენც დაგვარწმუნოს, რომ ბრძოლას სიწმინდისთვის, პატიოსნებისთვის, სათნოებისა და ერთგულებისთვის ყოველთვის აქვს გამართლება და ამ ბრძოლაში დამარცხებული სიმართლე მაინც ყოველთვის გამარჯვებულია. კრებულის ერთადერთი დიდი მოთხრობის გმირი – მათე მირიანაშვილი ამ მოსაზრების დასტურს წარმოადგენს. პატიოსნების ეტალონად ქცეული მათე თითქოს მარცხდება გარემომცველ მგლურ სამყაროსთან, რომელიც ჯუნგლების კანონებით ცხოვრობს, მაგრამ უსახელო უფლისციხედ ქცეული ვაუკაცი გრძნობს თავის მორალურ და ზნეობრივ უპირატესობას და სწორედ ამიტომ გამოდის ჯოჯოხეთური ცეცხლიდან სუფთა და შეურყვნელი...

სულის შემძვრელია მოთხრობა „ნინა“, რომელიც მეორე მსოფლიო ომისდროინდელ ქართულ სოფელში დატრიალებულ დრამაზე მოგვითხრობს. ოჯახის დიასახლისი ომიდან გამოქცეულ, დეზერტირად ქცეულ ქმარს საიმედოდ გადამალავს და იცავს ავი თვალისგან, მაგრამ, როდესაც მისი ღირსების, მისი სიწმინდის დაცვას საფრთხე შეექმნება, რაც, ამავე დროს, მისი ოჯახის სიწმინდე და ღირსებაცაა, ეს მოსიყვარულე და ერთგული ცოლი მყისვე ამორძალად გადაიქცევა და აიძულებს ქმარს, ჩაბარდეს ხელისუფალთ. ძნელია ამ პატარა მოთხრობის აუღელვებლად, მშვიდად წაკითხვა იმიტომ, რომ მასში სრულადაა ნაჩვენები ის შეუბღალავი სიწმინდეები და იდეალები, რამაც გააძლებინა ქართველობას წუთისოფლის უღრანებში და დღევანდლამდე მოიყვანა ეს ქედუხრელი და ამაყი მოდგმა კაცობრიობისა...

ასეთი მოთხრობებითაა სავსე ეს კრებული და მათი გაცნობა, ღრმად ვარ დარწმუნებული, ცრემლს მოგვრის მკითხველთ. თუმცა მე ყურადღება მინდა გავამახვილო ერთ ტექსტზე, რომელიც არც მოთხრობაა და არც ნოველა. ამ ტექსტს „თათბირები“ ჰქვია. ავტორი ყოველგვარი ზედმეტი ემოციებისგან იკავებს თავს და მხოლოდ დოკუმენტურად აღწერს უაზრო და ცინიზმამდე დასულ არაფრისმთქმელ თათბირებს, რომელიც ერთ-ერთ სამინისტროში იმართებოდა. სწორედ ამ ტექსტშია დატეული ის პროტესტანტული სული, რომელიც ასე ძალუმად გააჩნია მწერალს, შემოქმედს, რომელმაც სრულად გაიაზრა ის წანამძღვარები, რამაც დაღუპვის პირამდე მიიყვანა თიხისფეხება კოლოსი, ერთ დროს მთელ მსოფლიოს რომ აზანზარებდა.

კრებული მთავრდება ლექსით „ჩემი ეგრისი და ჩემი ქართლი“, რომელიც ავტორის სულიერ ღაღადისს წარმოადგენს და რომლის კითხვისას თითქოს ჩვენს თვალწინ წამოიმართებიან ლეგენდებად გადმოსული ქუჯი და ფარნავაზი, რომლებიც დღევანდელ ქართველობას შეახსენებენ, რომ თუ ჯერ კიდევ საუკუნეების უღრანებში ჩაკარგული საქართველოს შვილებს შეეძლოთ ერთმანეთისთვის ხელის ჩაკიდება და ბრძოლა სინათლისთვის, სიკეთისთვის, ძმური ერთგულებისთვის, მაშ, ჩვენ, XXI საუკუნის ბინადართ, რა ფეტვი გვირევია ისეთი, რომ ვერც გაერთიანებას ვახერხებთ და ვერც ჭეშმარიტი მტერ-მოყვრის გარჩევას. ეს ლექსი ვულკანური ლავასავით მოედინება ჩვენკენ და გამოფხიზლებისკენ, სწორი ორიენტირების დასახვისკენ მოგვიწოდებს...

ერთი სიტყვით, ამ კრებულის გაცნობისას მოსაწყენად არ გეცლება მკითხველო, უფრო კი – პირიქით...

აქ არ შემიძლია ერთ მნიშვნელოვან გარემოებას არ გავუსვა ხაზი: ბატონი გრიგოლი წლების განმავლობაში სამართალდამცავ ორგანოებში მუშაობდა. ჰოდა, როგორ მოახერხა ასეთი მკაცრი პროფესიის მქონე პიროვნებამ საკუთარ თავში სიწმინდის, კეთილშობილების, სათნოების გადარჩენა? საოცარია, ღმერთმანი!

თავში მოგახსენეთ, გრიგოლ შონია დიახაც რომ პატიოსნად ხატავს XX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ყოფას-მეთქი და ამაში თქვენც დარწმუნდებით. საბოლოო ვერდიქტიც თქვენზეა, ჩემო თანამემამულენო, არის თუ არა ეს პატიოსნად დახატული ნაწარმოებები შედევრები?

ზაალ ბოტკოველი

დღეს გთავაზობთ წიგნში შესულ ერთადერთ ლექსს

ჩემი ეგრისი და ჩემი ქართლი...

ჩემი ეგრისი და ჩემი ქართლი,
ერთი გვარის და ერთი ტომის ღვიძლი შვილები,
ერთად მოვდივართ გზით სწორით, მართლით,
ერთი დედის და ერთი მამის გამოზრდილები.

დამიგდეთ ყური, კარგად დამიგდეთ,
მისმინეთ კარგად:
არავითარი ნათესავი – შორეული ან ახლობელი,
ერთი მთვარის და ერთი მზის ქვეშ
ერთ მღვიმესა და საყუდელში დავანებულნი.

არა! ჩვენ არსად გავფანტულვართ,
არც ქვეყნიერებას მოვდებივართ,
ჩვენ ღმერთმა მოგვცა ეს სამოთხე,
შრომით და ბრძოლით აქ დავფუძნდით
და დავემკვიდრეთ...

ჩვენ აქ ვშრომობდით და აქ ვიბრძოდით
და მომდგარ მომხდურს ვუმკლავდებოდით,
ხშირად ვწყდებოდით,
ყვავ-ყორანი გულ-ღვიძლს გვკორტნიდა,
ვერაგი მტერი ჩვენს სისხლს წოვდა
და სტამბოლის ბაზრისათვის
გვტაცებდა შვილებს...

მოთქმა, მოძახილი და მოწოდება

მაინც ვრჩებოდით აქ, ამ მიწაზე
და უფლის ნებით კვლავ ბრძოლისთვის
ვიბადებოდით...
ჩვენმა ღმერთმა, ჩვენმა უფალმა აქ დაგვაფუძნა,
სად ყველაფერი მღერის და გალობს და ჩვენც
ვმღერით,
ხშირად ჭრილობებს ვიშუშებდით,
ჩვენი ტკივილით ცა და მიწა იქუფრებოდა,
მაგრამ ჭირით და უბედობით შეჭირვებულნი
მაინც ვმღეროდით და ვმღერით ახლაც.

რა გამღერებთო? – გვეუბნებოდნენ,
ჩვენ კი ვმღეროდით,
იმიტომ, რომ ოდითგანვე ჩვენთან
მუდამ ყველაფერი გალობს და მღერის.
ჩვენ ეს ედემი მოვიპოვეთ სისხლით და გარჯით
და დღესაც ვრჩებით ამ ცას და მიწას ჩაჭიდებულნი...
ქართლ-კახეთი, იმერეთი, გურია და
სამეგრელო, რაჭა-სვანეთი,
ჩვენია, ჩვენი, აფხაზეთიც და სამაჩაბლოც!..
და ფხოველთა გულის ძახილიც: –
„არ გავცვლი სალსა კლდეებსა“...
ანდა კიდევ:
„როგორც უფალი, სამშობლოც, ერთია ქვეყანაზედა“...
ეს შენც გაიგე, ვერაგო რუსო, ყველამ გაიგეთ,
ჩემს მამულს ვინაც ავი თვალით
მოსჩერებიხართ!..

უნდა გაუძლო, ჩემო ეგრისო და ჩემო ქართლო,
დღეს ხომ ჭირს ისე, როგორც არასდროს,
სხვაგვარად როგორ გაგაგებინოთ!
ნუთუ ვერ ხედავთ ჩასაფრებულ ბოროტ
სატანას, –
ღმერთის მოქიშპეს, დღეს ვით ცდილობს,
რომ ცოდვებში კვლავ ჩაგვიტანოს...

გონს მოუხმეთ და განამტკიცეთ თქვენი რიგები,
კვლავ იბრძოლეთ და გაუძელით,
გამაგრდით და იწამეთ ძალა,
სხვანაირად როგორ გითხრათ,
რომ ისევ მძლავრობს ჩვენზე მომხდური...
მაშ, სწავლით, ბრძოლით და გაძლებით წინ და
მხოლოდ წინ,
საქართველოს გადასარჩენად!..

ელვის კვეთება:
„მას დედის ძუძუ
ტკბილი
შხამადაც შერგებია,
მამულისთვის
სიკვდილი
ვისაც დაზარებია!..“



ერთა ლიგა

იქნებ, ახლა მაინც...

გუშინ გაიმართა უეფას ერთა ლიგის პლეიოფის წილისყრა, რის შედეგადაც ცნობილი გახდა D დივიზიონის ფინალის მასპინძელი ქალაქი.

გაირკვა, რომ საქართველოს ეროვნული ნაკრები ნახევარფინალში ბელარუსთან გამარჯვების შემთხვევაში ფინალსაც თბილისში ჩაატარებს.

შეგახსენებთ, რომ ერთა ლიგის ნახევარფინალში 26 მარტს საქართველო ბელარუსს, ხოლო ჩრდილოეთ მაკედონია კოსოვოს უმასპინძლებს, ფინალი კი 31 მარტს გაიმართება.

მანუჩარ გიორგაძე

ჩოგბურთი

მესამეც გაირკვა

2020 წლის 3 იანვარს ახალი საჩოგბურთო ტურნირი ATP Cup დაიწყება, რომელიც ავსტრალიის სამ ქალაქში – ბრისბენში, პერტსა და სიდნეიში გაიმართება.

საქართველო B ჯგუფში იასპარეზებს, სადაც მისი მეტოქეები ესპანეთი, იაპონია და, როგორც გუშინ გახდა ცნობილი, ურუგვაი იქნებიან. ტურნირზე საქართველოს გამოსვლა ნიკოლოზ ბასილაშვილის დამსახურებაა, რომელიც სექტემბრის თვეში მსოფლიო რეიტინგში მე-17 ადგილზე იყო. ნიკასთან ერთად ტურნირზე ალექსანდრე მეტრეველი იასპარეზებს. ესპანეთის ნაკრებთან წარმატებაზე ფიქრი რთული იქნება, რადგან პირენეელებს რაფაელ ნადალი და რობერტო ბაუტისტა-აგუტი წარადგენენ. იაპონიის ნაკრებში კეი ნიშიკორი და იოშიჰიტა ნიშიოკა ითამაშებენ, ხოლო ჩვენს ნაკრებს ყველაზე დიდი შანსი ურუგვაისთან ექნება. სამხრეთამერიკელთა შემადგენლობა ასე გამოიყურება: მსოფლიო რეიტინგის 33-ე ნომერი პაბლო კუევასი და რეიტინგის 525-ე ნომერი მარტინ კუევასი.

ტურნირი 3-12 იანვარს გაიმართება.

კობა კობახიძე



მარადიული დღესასწაული

მაგრამ ის მაინც პირველი იყო

კიდევ ერთი 18 ნოემბერი გადაიფურცლა გულშემატკივრის კალენდარზე, თარიღი, რომელიც ოქროს ასოებით ჩაიწერა ქართული ფეხბურთის ისტორიაში.

დიახ, 1974 წლის გვიანი შემოდგომის ტაშკენტი ჩვენთვის თავისებურ დიდგორად იქცა, რამეთუ სწორედ უზბეკეთის დედაქალაქის „პახტაკორის“ სტადიონზე მოხდა ის სასწაული, რასაც თბილისის „დინამოს“ მიერ საბჭოთა კავშირის ჩემპიონობის პირველად მოპოვება ჰქვია.

ეს ტიტული თაობათა ხანგრძლივი შტურმის ლოგიკური შედეგი გახლდათ. მართლაც, შეუძლებელია დაივიწყო ტრიუმფატორთა წინამორბედების მიერ ოლიმპზე მიტანილი იერიშები და ის შოვინისტური დაბრკოლებები, რამაც მათ თანამემამულეთა გაბედნიერების საშუალება არ მისცა, ხოლო ერთხელ მოსკოვურ რესტორან „არაგვში“ საზეიმოდ აღნიშნული გვირგვინოსნობა წაგებული გადათამაშებით დაათმობინა.

სიმბოლურია, რომ ჩრდილოელთა შორის ტექნიკური თამაშით გამორჩეულ დედაქალაქის „ტორპედოსთან“ ყოფნა-არყოფნის მატჩი ლატვიელმა მიკენას რუბენისმა იმსაჯა, რომელმაც ცენტრისგან მოგვიანებით საყვედური დაიმსახურა. ეს არც იყო გასაკვირი – იმპერიის გულში ჯერაც ვერ მოენელებინათ ჰეგემონიის დამხობა, რაც სამიოდე სეზონის წინათ კიევის „დინამომ“ მოახერხა.

და აი, პერიფერიის წარმომადგენელთა მორიგი ურჩობა.

როცა მაშინდელ მიღწევაზე ვსაუბრობთ, აუცილებლად უნდა გამოვხატოთ მადლიერება მის სულისჩამდგმელ, მაესტრო ანდრო ჟორდანიასა და გავრიილ კაჩალინის მიმართ, რომელმაც მიხეილ იაკუშინის ჩაყრილი ნერგი გაახარა.

აქვე გულისტკივილით უნდა ითქვას, რომ 55-წლიანი სასახელო იუბილე ბინძურ პოლიტიკურ მორევში გადაშვებულმა თანამედროვეებმა ისე „გაატარეს“, თითქოს მსგავსი საამაყო მოვლენები თავზე საყრელად გვქონდეს.

ამიტომ სავსებით კანონზომიერია ის სავალალო ფაქტი, ბევრ „სპორტის მოყვარულს“ წარმოდგენა რომ არა აქვს „ოქროს ბიჭებზე“, მაგალითად, მიშა მესხზე, სლავა მეტრეველზე, შოთა იამანიძეზე.

და მაინც, კიდევაც დაიზრდებიან ალგეთს ლეკვები მგლისანი...

გიორგი შოთაძე

კალათბურთი

დონჩიჩის რეკორდი

„დალას მავერიქსის“ სლოვენიელმა ლიდერმა ლუკა დონჩიჩმა ნბა-ს ყველა დროის რეკორდი დაამყარა, როცა მისმა გუნდმა „გოლდენ სტეიტს“ 142:94 მოუგო.

ბალკანელმა 26 წუთში სამმაგი დუბლი შეასრულა, რაც ნბა-ს საუკეთესო მაჩვენებელია. აქამდე მიღწევა ლებრონ ჯეიმსს ეკუთვნოდა, რომელსაც სამმაგი დუბლი 28 წუთში ჰქონდა გაკეთებული.

დონჩიჩი ასევე ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის ისტორიაშიყველაზე ახალგაზრდა მოთამაშე გახდა, რომელმაც ზედიზედ ორ შეხვედრაში 35 ქულა ჩააგდო და თან სამმაგი დუბლი შეასრულა.

ვიტალი ჯაფარიძე



ინტერნეტიდან

სიმშვიდე მშვილდის ნაცვლად



დედამიწის კიდით-კიდემდე გადაშლილ ჩვენს რუბრიკაში სადაურ და რომელი ჯურის ლამაზმანს არ წააწყდება კაცი, დაწყებული ლათინოამერიკელი შავტუხა ასულებით და დასრულებული ევროპელი თეთრყირმიზა მოდელებით, შუააზიელები კი რატომღაც „გვეჩაგრებიან“ და ეს უსამართლობა სასწრაფოდაა აღმოსაფხვრელი.

ამიტომაც წარმოგიდგენთ უზბეკ მსახიობ ეიდინ იუსუპოვას, რომელიც სიყმაწვილეში მშვილდოსანი გახლდათ და საკმაოდ წარმატებულიც, თუმცა, ბევრი ქალი სპორტსმენისგან განსხვავებით, ეიდინსაც სწრაფი პოპულარობის ჟიამ შეუღიტინა და მსახიობობა დღეს მისი უმთავრესი ხელობა და სამოქმედო არეალია.

ეიდინ იუსუპოვა უზბეკეთის დედაქალაქ ტაშკენტში ცხოვრობს და იქაურ ტელევიზიებთან საკმაოდ ნაყოფიერად თანამშრომლობს. აღსანიშნავია, რომ მან რამდენჯერმე მონაწილეობა რუსულ ტელესერიალებშიც მიიღო და პოპულარობა სწორედ ასე მოიხვეჭა. რას ვიზამთ, ყველა ჰოლივუდის მკვიდრი ვერ გახდება...

როსტომ რაჭველიშვილი

ოლიმპიზმი

ბახის აზრით...

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (IOC) პრეზიდენტი თომას ბახი რუსეთის ანტისადოპინგო სააგენტოს (RUSADA) სტატუსთან დაკავშირებით შექმნილ ვითარებასა და ოლიმპიურ თამაშებზე რუს სპორტსმენთა დაშვების თაობაზე აცხადებს, რომ უდანაშაულო ათლეტები არ უნდა დაისაჯონ სხვათა მიერ ჩადენილი დარღვევებისთვის.

„ვითარებას მსოფლიო ანტისადოპინგო სააგენტო (WADA) აკონტროლებს და საბოლოო გადაწყვეტილებას სპორტის საარბიტრაჟო სასამართლო (CAS), მიიღებს, IOC კი მხოლოდ აკვირდება. ჩვენ ვიცავთ პრინციპს, რომ დამნაშავეები მკაცრად დაისაჯონ, ხოლო უდანაშაულონი დავიცვათ,“ – განმარტავს გერმანელი მაღალჩინოსანი.

WADA-მ რუსეთის ანტისადოპინგო სააგენტოს (RUSADA) მიმართ მსოფლიო ანტისადოპინგო კოდექსთან შეუსაბამობის სტატუსის ჩამორთმევის პროცედურა წამოიწყო. რუსეთი ეჭვმიტანილია წლის დასაწყისში WADA-ში გაგზავნილი მოსკოვის ანტისადოპინგო ლაბორატორიის მონაცემთა მანიპულირებაში.

მონაცემთა ბაზის გაყალბების დამტკიცების შემთხვევაში დღის წესრიგში დადგება რუს სპორტსმენთა (განურჩევლად სახეობისა) საერთაშორისო შეჯიბრებებიდან, მათ შორის 2020 წლის ოლიმპიადიდან, მოკვეთის საკითხი.

WADA-ს ახლადარჩეული პრეზიდენტის, პოლონელი ვიტოლდ ბანკას განცხადებით, ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებზე რუს სპორტსმენთა მონაწილეობის საკითხი წლის ბოლომდე უნდა გადაწყდეს.

ბექან დოლიძე

ხსოვნა

გიორგი დუნდუა 70 წლისა შესრულდებოდა

სამოცდამეათე გიორგობასა და გიორგობისთვეს უნდა შევხვედროდით — შენს საიუბილეო თარიღს. ტრადიციისამებრ, რომელსაც არასოდეს ღალატობდი, სუჯუნის წმინდა გიორგის ეკლესია უნდა მოგელოცა სათაყვანებელი ოჯახის წევრებთან და უახლოეს მეგობრებთან ერთად, საკლავი შეგეწირა, შემდეგ ჩვეული გულიანობით და სიყვარულით მოგელხინა. შენს ტრადიციას შენი მეუღლე, ნაადრევად დაქვრივებული ქალბატონი დარეჯანი და თქვენი საამაყო შვილები აგრძელებენ. შენ და დარეჯანი ერთ დღეს იყავით დაბადებულნი, ერთად გილოცავდით და გლოცავდით. მეოთხე წელია, უშენოდ ვხვდებით შენს დაბადების დღეს, ვხვდებით სევდიანი და თვალში ცრემლჩამდგარნი, ვხვდებით ამაყნი და იმედიანნი, რომ იმგვარი მეგობარი გვყავდი, რომელიც არა მარტო ჩვენ, არამედ საქართველოში ყველას უყვარდი, ვისაც კი სულ მცირედი ურთიერთობა მაინც ჰქონია შენთან. გამტანი, ერთგული, „სიტყვის კაცი“, მეგობრებისთვის გვერდში მდგომი, დიდი ოჯახის ბურჯი, მოსიყვარულე მეუღლე, მამა და ბაბუ იყავი.

უჭირთ უშენობა შენიანებს, უჭირს უშენობა დუნდუების დიდ საგვარეულოს, გვიჭირს ჩვენ — შენს მრავალრიცხოვან სამეგობროს. მოსაგონებლად კი ის ბედნიერი დღეები და წლები დაგვრჩა, რომელიც ერთად გაგვიტარებია. გიორგობის დღესასწაულსა და საიუბილეო თარიღს გილოცავთ ზეციურ საქართველოში, ჩვენო ნაადრევად წასულო ძმაო.

მეგობრები

რომა ლუტიძე, გურამ მახოშვილი, გია შენგელია, შალვა მგალობლიშვილი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მალხაზ (ტატო) ოსაძე

და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.

სანთელი

შპს „საქწიგნის“ თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ მთავარი ბუღალტრის, ღვაწლმოსილი და სასიქადულო მამულიშვილის

შალვა გლოველის

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

გაბრიელ სალოსის ქუჩაზე სპეცოპერაციის დროს დაღუპული სპეცრაზმელის ხსოვნას პატივი მიაგეს

სახელმწიფო **უსაფრთხოების სამსახურის უფროსმა გრიგოლ ლილუაშვილმა თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩაზე ჩატარებული კონტრტერორისტული სპეცოპერაციის დროს დაღუპული სპეცრაზმელის ივანე გოლაშვილის ხსოვნას პატივი მიაგო.**

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი გრიგოლ ლილუაშვილი მოადგილეებთან შენგელი ფიცხელაურთან, ალექსანდრე ხოჯევანიშვილთან, გიგა ნიკოლეიშვილთან, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე იოსებ ჭელიძესთან, იუსტიციის მინისტრის მოადგილე ალექსანდრე ტაბატაძესთან, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს უფროსის მოადგილე ალექსი ბატიაშვილთან, ასევე, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელ პირებთან და თანამშრომლებთან ერთად ივანე გოლაშვილის გარდაცვალების ორი წლისთავთან დაკავშირებით მის საფლავზე მივიდა. გრიგოლ ლილუაშვილმა დაღუპული სპეცრაზმელის ხსოვნას პატივი მიაგო და მისი ოჯახის წევრებს მიუსამძიმრა.

ქართული ტრადიციები

ნადზე გასწორებული საათი

ნადი **მეზობლების უსასყიდლო შრომაა, რასაც ქართულ რეალობაში დღემდე შეხვდებით. მუშაობისთვის გასამრჯელო დღის ბოლოს გაშლილი სუფრაა და უსიტყვო შეთანხმება — ვისაც ახლა ეხმარებოდნენ, ის შემდეგ მათ დაეხმარება.**

ნადის ტრადიცია არა მარტო დღევანდელი საქართველოს ტერიტორიებზე გრძელდება. ეთნოლოგი როზეტა გუჯეჯიანი ამბობს, რომ ნადი თურქეთში მცხოვრებმა ქართველებმაც იციან და ფერეიდნელების, მაზანდარანელების შთამომავლებმაც. ნადს სხვადასხვა სახელი აქვს: ნად, ნადიერი, ნოდიერი, მუშანი, დაძახილი, ქომაგი... კიდევ არის ოჩხარი, რაც მოულოდნელი საჭიროების დროს დახმარებას გულისხმობს, მაგალითად, მაშინ, როცა ოჯახს სახლი დაეწვება და ახლის აშენებაა საჭირო.

ნადს იწვევდნენ მოსავლის ასაღებად, დასათესად, სახლის ასაგებად და საქონლის სამწყემსადაც კი. როზეტა გუჯეჯიანი ამბობს:

„სვანეთში ცნობილია ნადის სახეობა გალდან. სოფლის შუაგულში გამოვიდოდა კაცი და იტყოდა, სახლის აშენება გადავწყვიტე და ახლა თქვენ იცითო. ყველა ეხმარებოდა. ვისაც მხოლოდ ცალუღელი ხარი ჰყავდა, მეორე გლეხს, ასევე ცალუღელი ხარის პატრონს, შეუამხანაგდებოდა და ერთად მოუზიდავდნენ ხე-ტყეს. დანარჩენები ენგურის პირას ჩავიდოდნენ ქვიშის ამოსაზიდად. მანამდე მდინარის ერთ ტოტს მოწყვეტდნენ, რომ ქვიშა ბორცვებად დაგროვებულიყო“.

გურია-აჭარაში ნადი ყველაზე ხშირად სიმინდის მოყვანასთან არის დაკავშირებული. სიმინდი ძნელი მოსავლელია და ხშირად ერთობლივ შრომას საჭიროებს, მით უფრო მაღალმთიან აჭარაში. მოარული ხუმრობა, აჭარლები ყანას ხეზე მიბმულები თოხნიანო, სათავეს რეალობიდან იღებს. მკვლევარ თედო სახოკიას აჭარაში მოგზაურობისას უბის წიგნაკში ჩაუწერია:

**„ზოგან კაცი იძულებულია, ხეზე ასულ-ჩამოსულ ბაბუებს, ბებიებს, ბავშვებს ხელ-ფეხ-ტანი ბაწრებით ან ბინდებით ან ბალიშებით ან ბალიანებით ან ბალიანებზე ბალიშებით ან ბალიშებზე ბალიანებით ან ბალიანებზე ბალიშებზე ბალიანებზე ბალიშებზე ბალიანებზე ბალიშებზე

ალექსანდრიის ბიბლიოთეკას ქართული წიგნები გადაეცა



საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი **ალექსანდრე ნალბანდოვი** ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკაში სამუშაო ვიზიტით ალექსანდრიის ბიბლიოთეკას ესტუმრა, სადაც საზეიმო ვითარებაში ბიბლიოთეკას შემდეგი წიგნები და ალბომები გადაეცა:

„კულტურა და მხატვრული ცხოვრება საქართველოს პირველ რესპუბლიკაში (1918-1921)“;

„აფხაზეთი, საქართველო: ისტორია, კულტურა, პოლიტიკა“ (ქართულ და არაბულ ენებზე);

„აფხაზეთის თანამედროვე მხატვრები“;

“ქართული კულტურული მემკვიდრეობა – აფხაზეთი“;

„Georgia- Land of Hospitality“.

აღსანიშნავია, რომ საელჩოს მიერ ალექსანდრიის ბიბლიოთეკას საქართველოში გამოცემული სხვადასხვა თემატიკის წიგნები უკვე მეორედ გადაეცა.

საქართველოს ელჩმა შეხვედრები ალექსანდრიის ბიბლიოთეკის დირექტორ მუსტაფა ელ ფეკისთან და ბიბლიოთეკის საერთაშორისო ურთიერთობებისა და პროტოკოლის განყოფილების ხელმძღვანელ შერიფ რიადთან გამართა, სადაც მხარეებმა შემდგომი თანამშრომლობის საკითხები განიხილეს.

საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, საელჩოს ორგანიზებით და ალექსანდრიის ბიბლიოთეკასთან თანამშრომლობით ქართველ სტუდენტებს, რომლებიც ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის განათლების სამინისტროსთან არსებულ უცხოელთათვის არაბული ენის შემსწავლელ ცენტრში სწავლობენ, შესაძლებლობა მიეცათ, ალექსანდრიის ბიბლიოთეკაში დაცულ უძველეს მანუსკრიპტებსა და სხვა ღირშესანიშნაობებს გაცნობოდნენ.

როგორც საგარეო საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, ალექსანდრიის ბიბლიოთეკასა და საქართველოს საელჩოს შორის შემდგარი შეთანხმების საფუძველზე ღონისძიების მონაწილე ქართველ სტუდენტებს ეგვიპტეში მათი სწავლის პერიოდში ბიბლიოთეკის წიგნის ფონდით უსასყიდლოდ შეეძლებათ, ისარგებლონ.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86
მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქოგულია
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24
გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20
uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001
ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

უმოძრაო თაობა

მსოფლიში ხუთიდან ოთხ, 11-17 წლის მოზარდს ცხოვრების მჯდომარე სტილი და დაბალი ფიზიკური აქტივობა აქვს.

საერთაშორისო ჯანდაცვის ორგანიზაციამ მსოფლიოს 146 ქვეყანაში 1,6 მილიონი მოზარდი გამოკითხა. კვლევის მიხედვით, გერმანიაში ცოტას მოძრაობს ბიჭების 79,7% და გოგოების 87,9%. კვლევაში მოზარდების დაბალი ფიზიკური აქტივობის მიზეზი არ სახელდება.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციით, 5-დან 17 წლამდე მოზარდებმა, დღის განმავლობაში, სულ მცირე, 60 წუთით უნდა იმოძრაონ. 18-დან 64 წლის ასაკამდე კი ფიზიკურ აქტივობას კვირაში, სულ მცირე, 150 წუთი უნდა დაუთმონ. აქედან 75 წუთით სპორტით უნდა დაკავდნენ.

სასაფლაო სკოლის შენობის ქვეშ

აშშ-ში, კერძოდ ფლორიდის შტატში საშუალო სკოლის შენობის ქვეშ 145 ადამიანის ცხედარი აღმოაჩინეს. ადრე ამ ტერიტორიაზე მეოცე საუკუნის შუა პერიოდში აფროამერიკელების სასაფლაო იყო.

სკოლაში საფლავებს სპეციალური რადარის საშუალებით მას შემდეგ მიაგნეს, რაც ცნობილი გახდა, სასაფლაოს არსებობის შესახებ. ისტორიული წყაროების მიხედვით, 250 აფროამრიკელის ცხედარი უნდა ყოფილიყო დასაფლავებული, მათ შორის 77 ბავშვის.

გამოცემის ცნობით, სამარხის აღმოჩენის შემდეგ სკოლის ხელმძღვანელობამ ახალი შენობის დაცარიელება გარდაცვლილების პატივსაცემად გადაწყვიტა.

წყაროს ცნობით, მეოცე საუკუნის შუა პერიოდში აღნიშნულ სასაფლაოზე 250-ზე მეტი ადამიანი დამარხეს. მათი დიდი ნაწილი აფროამერიკელები იყვნენ. შტატის ხელისუფლებამ ტერიტორია 1942 წელს კერძო კომპანიას მიჰყიდა. სკოლა კი 1960 წელს აშენდა.

ფრიდა კალოს ნახატი – 5.8 მლნ დოლარად

ცნობილი მექსიკელი მხატვრის ფრიდა კალოს ნახატი „თეთრებში ჩაცმული ქალის პორტრეტი“ ნიუ იორკში Christie's-ის აქციონზე 5.8 მლნ დოლარად გაიყიდა.

როგორც აუქციონის სახლი, მიკრობლოგ Twitter-ზე წერს, ეს მხატვრის ყველაზე ძვირადღირებული მეორე ნახატია, რომელიც აუქციონებზე გაყიდულა.

ფრიდა კალომ ნახატი 1929 წელს შექმნა. მასზე გამოსახულია თეთრ კაბაში ჩაცმული გოგონა. დიდი ხნის განმავლობაში მიიჩნეოდა, რომ ფრიდამ ტილოზე თავისი ამერიკელი მეგობარი და მხატვარი ბრაუნ ფოქსი დახატა, თუმცა ახალი გამოკვლევის თანახმად, „ამოუცნობი მენატურე“, შესაძლოა, ყოფილიყო ფრიდას სკოლის მეგობარი, რუსი ემიგრანტი ელენა ბოდერი, რომელიც მხატვრის უახლოეს მეგობრად მისი სიცოცხლის ბოლომდე დარჩა.

კალომ ნახატი ცნობილ ფოტოგრაფს ლოლე ალვერეს ბრავოს აჩუქა. მას შემდეგ ფერწერული ტილო კერძო კოლექციებში ინახებოდა. აუქციონის სახლის მიერ ტილო 3-5 მლნ დოლარად იყო შეფასებული.

ფრიდა კალომ (1907-1954) ხანმოკლე სიცოცხლის განმავლობაში 100-ზე მეტი ნახატი შექმნა. სპეციალისტების ნაწილი მის მხატვრობას სიურეალიზმს მიაკუთვნებს. ფრიდა კალოს ნახატები მსოფლიოს მუზეუმებსა და კერძო კოლექციებში ინახება.

მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 100 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

გვჯერა, რედაქციის მიმართვას გამოეხმაურებიან ჩვენი ბიზნესმენ-ქველმოქმედნიც და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ გაზეთს.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

ყურადღება!

„საქართველოს რესპუბლიკის“ გამოსაწერად მიმართეთ:

„ელვა.ჯი“
577 991651
577 308847

შპს „მაცნე“
599 982777

„პლანეტა ფორტე“
579 799908

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.9781; ევრო - 3.3000;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.8549;
100 რუბლი - 4.6712; თურქული ლირა - 0.5229;
აზერბაიჯანული მანათი - 1.7588;
1000 სომხური დრამი - 6.2408

ამინდი 23 ნოემბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	-3,	დღე	+5
მთიანი რაიონები -	ღამე	-10,	დღე	+8
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+5,	დღე	+17
მთიანი რაიონები -	ღამე	-5,	დღე	+11
თბილისი:	ღამე	0,	დღე	+3

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge